№160/3090/ 29 ოქტომბერი 2014 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

# ალია

## 50 ლარი, კვება და თბილი ავტობუსი ღამის გასათევად

„ნაციონალები“ დროებით უმუშევრებს ასაქმებენ?!

## „ტრაქტორების სკანდალზე“ მინისტრი კირვალიძე გადადგა, გადადგება მინისტრი ალასანია?



სად შეიძლება გადაკვეთილიყო „კულინარელად“ ცნობილ ალასანიასა და „მხედრიონელ“ „ზარალას“ გზები?



## ვახტანგ მაისაია:

„სააკაშვილმა უკვე დააანონსა, რომ სახელმწიფო გადატრიალებას აპირებს... ეს რევოლუციური პროცესის ნაწილი იქნება“

„აფხაზეთში იმყოფება წალენჯიხის კუდ-ის უფროსი, სავარაუდოდ, ისიც მეგის ქარდავასთან ერთად არის და ცხადია, არც ის იტყვის უარს „ნაციონალთა“ დავალებების შესრულებაზე“

## რას შეცვლის 28 ოქტომბერი პრეზიდენტ მარგველაშვილის, პრემიერ ღარიბაშვილის და მინისტრ ალასანიასთვის

რა უნდა გააკეთოს უშიშროების საბჭომ...

## გოგა ხაინდრავა: „როგორ შეიძლება თავისუფალი და მიუკერძოებელი ჟურნალისტი იქცეოდეს ისე, როგორც გრიგოლია იქცევა?!.“



„სხვა საქმეა, რაც მაესტროზე“ ხდება, „მაესტროზე“ საინტერესო პროცესები მიდის. ეს იყო სავარაუდო და მოსალოდნელი, ჩემთვის ეს ნამდვილად არ არის გასაკვირი, რაც მთავარია, წამყვანებმა და გუშინდელ დღეში ჩარჩენილმა არხის მფლობელებმა საკუთარ თავებს ჰკითხონ, რა მოხდება“

ექსკლუზივი პარლამენტის განათლების კომიტეტში მომხდარ დაპირისპირებაზე



## 11 მილიონზე მეტი პრემიები უნივერსიტეტებში



## მიდის თუ არა ალასანია?



გიორგი მარგველაშვილი ირაკლი ალასანიას უწყებაში მაღალჩინოსნების დაპატიმრებას აფასებს:

„თუ არის რაიმე კორუფციული გადაცდომა, ეს ცალკე საკითხია, თუ ეს პოლიტიკურ თემას უკავშირდება, ბუნებრივია, ეს სირთულეა, ისე როგორც ყველა შემთხვევაში, როდესაც სამართალდამცავ ორგანოთა აქტიურობა რაიმე ანარეკლს ტოვებს პოლიტიკურ პროცესებზე. შესაბამისად, კომენტარს ვერ გავაკეთებ, კომპეტენტური პოლიტიკური ექსპერტები საკმარისად არიან საქართველოში“, – განაცხადა პრეზიდენტმა.

მარგველაშვილი ალასანიას მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალის ლიდერად მიიჩნევს, თუმცა მისი პოსტიდან გადადგომის შესახებ არაფერი სმენია.

„ალასანიას გადადგომის, მის მიერ ძალიან მნიშვნელოვანი სახელმწიფო პოსტის დატოვების შესახებ მე არანაირი ინფორმაცია არ გამიგია. ალასანია არის ძალიან მნიშვნელოვან პოზიციაზე, რომელიც უკავშირდება ჩვენს თავდაცვისუნარიანობას, ის არის ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალის ლიდერი. თავდაცვის მინისტრის, გენშტაბისა და სამხედროების თემას ყოველთვის განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რას ფიქრობს და განიცდის ჯარი. მე არ მგონია, რომ ალასანია მიდის, ალასანია არის ეფექტური მინისტრი, მის მიერ განხორციელებული რეფორმები არის მაღალი ხარისხით შეფასებული“, – განაცხადა პრეზიდენტმა. (ნიუპოსტი)

## ცხინვალის დე ფაქტო საგარეო უწყება საქართველოს პრემიერ-მინისტრს პასუხობს

ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის შეთავაზებას ეხმაურება და საკუთარ ვებგვერდზე ვრცელ განცხადებას ავრცელებს:




„ქართველი პოლიტიკოსების განცხადებები თავისი აბსურდულობით გაოცებას იწვევს. ირაკლი ღარიბაშვილის შეთავაზება ავტონომიასთან დაკავშირებით საქართველოს შემადგენლობაში ეს არის კიდევ ერთი უტოპია, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გამოთქვა და რომელიც უარს ამბობს, ალიაროს არსებული რეალობა. აგერ უკვე, თითქმის, მეოთხედი საუკუნეა, რაც სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელია და ექვსი წელია აღიარებული ქვეყანაა. ამ დროის განმავლობაში კი საქართველოსთვის გაცილებით გონივრული იქნება ამ ფაქტის აღიარება და შეცდომაში ნუ შეჰყავს თავისი ხალხი და ნურც მსოფლიო საზოგადოება“, – ნათქვამია განცხადებაში.

ამავე განცხადებაში ჩამოთვლილია პირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემდეგაც იქნებოდა შესაძლებელი, მშვიდობიანი თანაცხოვრება საქართველოსთან: ძალის გამოუყენებლობის შესახებ დოკუმენტის გაფორმება, „ქართული აგრესიის“ პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება, საქართველოს მიერ ოსი ხალხის გენოციდის აღიარება, ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობა, მისთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურება.

„მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება საუბარი მშვიდობიან თანაცხოვრებაზე და საქართველო ოდესმე გაიგებს, რომ კეთილმეზობლურად ცხოვრება გაცილებით მომგებიანია, ხოლო ზემოხსენებული პირობების დაუკმაყოფილებლობის გარეშე ქართველი პოლიტიკოსების საუბარი ცარიელი სიტყვებია და პოლიტიკური თამაში დასავლეთის აუდიტორიისთვის“, – აცხადებს დე ფაქტო საგარეო უწყება. (ინტერპრესნიუსი)




## ქუთაისში ცოლმა ქმრისთვის საცვლის არმიტანის გამო პატრული გამოიძახა

შემთხვევა რამდენიმე კვირის წინ მოხდა. აბაზანაში მყოფმა ქმარმა ცოლს საცვლის მიტანა სთხოვა, ცოლმა კი ქმარს კატეგორიული უარი უთხრა, რის შემდეგაც ქმარმა ცოლს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. აბაზანიდან გამოსული ქმრისგან შეშინებულმა ცოლმა დახმარებისთვის საპატრულო ეკიპაჟი გამოიძახა. აღნიშნული ქმედება ქმარმა ცოლს არ აპატია და სახლიდან გაუშვა. (პირველი რადიო)

## 11 მილიონზე მეტი პრემიები უნივერსიტეტებში



ინფორმაციის განვითარების ინსტიტუტი სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში, პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს. კვლევა სახელმწიფო უნივერსიტეტებში 2013 წლის აპრილიდან 2014 წლის სექტემბრის ჩათვლით არის ჩატარებული. ჯამში გაცემული დანამატი თითქმის 12 მილიონი ლარია. ყველაზე მეტი თანხა ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტშია გაცემული, ყველაზე ნაკლები კი – ზუგდიდის უნივერსიტეტში. ცხრილი ასე გამოიყურება:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – 6 509 860.86; ტექნიკური უნივერსიტეტი – 2 213 261.04; სამედიცინო უნივერსიტეტი – 916 821.77; ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი – 612 284.11; ილიას უნივერსიტეტი – 559 660.00; სოხუმის უნივერსიტეტი – 521 867.00; გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი – 394 573.00; თელავის უნივერსიტეტი – 146 787.50; ზუგდიდის უნივერსიტეტი – 110 400.99. (პირველი რადიო)



## მამამ მეორეკლასელი შვილი სასტიკად სცემა



ქუთაისში მამამ მეორეკლასელი შვილი 4 ლარის დახარჯვის გამო სასტიკად სცემა. ბავშვი მე-11 საჯარო სკოლის მოსწავლეა. ბავშვზე ფიზიკური ძალადობის კვალი მასწავლებელმა შენიშნა და დირექტორს შეატყობინა, რომელმაც, თავის მხრივ, სკოლაში სოციალური სამსახური და პოლიცია გამოიძახა. სკოლაში ყვებიან, რომ მეორეკლასელი გოგონა 23 ოქტომბერს კლასში სახეზე სისხლჩაქცევებით მივიდა. არსებული ინფორმაციით, ბავშვის დედა, პერიოდულად, 10 დღით თურქეთში სამუშაოდ დადის. მან წასვლის წინ შვილს 4 ლარი დაუტოვა, რომელიც მოგვიანებით მამამ ლუდის საყიდლად მოსთხოვა. აღმოჩნდა, რომ გოგონას ფული დახარჯული ჰქონდა, რის გამოც მამამ შვილი სასტიკად სცემა. „ბავშვს სახე დეფორმირებული ჰქონდა“, – ამბობენ სკოლაში. ბავშვს იმავე დღეს სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდა. ამჟამად ის მამიდის მეურვეობის ქვეშ არის. ადგილობრივების ინფორმაციით, მამაკაცი ალკოჰოლზე დამოკიდებულია. (პირველი რადიო)

## სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელი დაჭრეს




გურჯაანის რაიონულ საავადმყოფოში 31 წლის გიორგი პატიაშვილი მიიყვანეს. მედიკოსების თქმით, მას ჭრილობა, წელის მიდამოში, ცეცხლსასროლი იარაღით აქვს მიყენებული. დაზარალებული და დანაშაულში ეჭვმიტანილი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები არიან. გავრცელებული ინფორმაციით, ისინი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, როდესაც ერთმანეთში შელაპარაკება მოუვიდათ. ფაქტზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტში კომენტარს არ აკეთებენ. მომხდარზე გამოძიებას გურჯაანის რაიონული პროკურატურა აწარმოებს. (პირველი რადიო)

## ნორლანდი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთისთვის ავტონომიის შეთავაზებას მიესალმება



საქართველოში აშშ-ს ელჩი რიჩარდ ნორლანდი ირაკლი ღარიბაშვილის მიერ აფხაზებისა და ოსებისთვის გაკეთებულ შეთავაზებას გამოეხმაურა:

„მივესალმები საქართველოს ხელისუფლების მიერ გაკეთებულ ნებისმიერ სერიოზულ შეთავაზებას, რომელიც იქნება მიმართული კონფლიქტების მოგვარებისკენ და რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია მხარდაჭერა, ჟენევის ფორმატის გამოყენება. ჩვენ კვლავ ვრჩებით ერთგული და მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. რასაკვირველია, თუ მოხდა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სერიოზული შეთავაზების გაკეთება, ჩვენ მხარს დავუჭერთ ამ საკითხის განხილვას ჟენევის მოლაპარაკებების ფარგლებში“, – განაცხადა ნორლანდმა. (news.ge)

## დატოვებენ „რესპუბლიკელები“ კოალიციას?



„რესპუბლიკელებმა“ განცხადება გაავრცელეს, რომლითაც კოალიცია „ქართულ ოცნებას“ იმ ცვლილებების განხორციელებისკენ მოუწოდებენ, რომელსაც ხელისუფლებაში მოსვლის 2 წლის თავზე აუცილებლად თვლიან.

„რესპუბლიკელი“ დეპუტატი ვახტანგ ხმალაძე იმედს გამოთქვამს, რომ პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებას სათანადო მსჯელობა მოჰყვება.

„ურთიერთობების, რომელიც აქამდე იყო, საჭიროა უფრო მეტად დემოკრატიულ საწყისებზე გადაყვანა, ისეთ ფორმატში, როგორიც არის მიღებული დემოკრატიულ სახელმწიფოებში. ყველაფერზე თანხმობა და ერთნაირი შეხედულება არათუ სხვადასხვა პარტიებში, არამედ ერთ პარტიაშიც კი არ არის. პროცესი, რომელიც აქამდე მიდიოდა, უნდა შეიცვალოს და უნდა გადავიდეს ურთიერთობის სხვა დონეზე. კონკრეტულად საუბარია, გადაწყვეტილებების კოალიციურ რეჟიმში მიღებაზე. ამ ეტაპზეც ხდება კოალიციურ რეჟიმში გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ისე, როგორც მიმდინარეობს ეს პროცესი, არ მოგვწონს. გვინდა უფრო სხვაგვარ რეჟიმში გადავიდეს. არ არის რეგლამენტირებული კოალიციაში შემავალი პარტიების მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი. მიგვაჩნია, რომ ეს უნდა იყოს დაწერილი. კოალიციაში გადაწყვეტილების მიღების წესი უნდა არსებობდეს და უნდა არსებობდეს კოალიციური შეთანხმება გადაწყვეტილების მიღების დროს“, – განაცხადა ხმალაძემ.

კოალიციის მიმართ არსებული პრეტენზიების შესახებ, კითხვაზე შესაძლებელია თუ არა „რესპუბლიკელებმა“ კოალიცია დატოვონ, უპასუხა:

„ეს დამოკიდებულია იმაზე, როგორ განვითარდება მომავალში მოვლენები. არსებობს რაღაც, ვთქვათ პრობლემები, რომლებიც საჭიროა, გადაიჭრას, რაღაცები უნდა მოხდეს სხვაგვარად“, – ამბობს ვახტანგ ხმალაძე. (ნიუპოსტი)



## მარგველაშვილი ვლადიმერ პუტინთან შესახვედრად მზადაა

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი რუსეთის პირველ პირთან შესახვედრად მზადაა. მისი თქმით, შეხვედრა შედგება მაშინ, როდესაც რუსეთი თანახმა იქნება, პირისპირ ისაუბროს საქართველოსთან ორმხრივ ურთიერთობებზე.

„ჩვენ მზად ვართ შესახვედრად, თუ ეს შეხვედრა იქნება იმ თემებზე, რომელიც ეხება საქართველოსა და რუსეთს. საქართველო არის რუსეთის აგრესიის ქვეშ. საქართველო მეზობელი ქვეყანაა, რომელსაც არავითარი აგრესიული განწყობა არ აქვს რუსეთთან მიმართებაში, არის ოკუპაციის საშიშროების წინაშე. ჩვენ ვართ სუვერენული ერი, რომელსაც არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს რუსეთის საწინააღმდეგოდ, ჩვენ ვართ მათი აგრესიის მსხვერპლი“, – განაცხადა პრეზიდენტმა. (რეპორტიორი)

„ალია“ ხელისუფლებიდან „ნაციონალთა“ მოცილების შემდეგ, გამუდმებით იმას წერდა, რომ მიხეილ სააკაშვილსა და მის გუნდს ხელისუფლებაში არჩევნების გზით დაბრუნების არანაირი შანსი არ ჰქონდათ და მხოლოდ რევოლუცია და სამოქალაქო დაპირისპირების გზაღა დარჩენოდათ ამ საწადელის მისაღწევად. რევოლუციას მომზადება სჭირდება, ის სხვადასხვა პროცესებისგან შედგება და „ნაციონალები“ ყველა მიმართულებით გულმოდგინედ რომ მუშაობენ, საამისოდ ამას ყველანი ვხედავთ.

„ალიას“ „ნაცმოძრაობასთან“ დაახლოებულმა წყარომ აცნობა, რომ მათი გეგმის ერთ-ერთი ნაწილი, საქართველოს კონფლიქტური რეგიონების სასაზღვრო ზოლში სიტუაციის არევაა. თავშივე დავსძენ, რომ იმ ინფორმაციების უტყუარობაზე, რასაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, თავს ვერ დავდებ, მაგრამ მეტად საგულისხმოა და საფუძველი ნამდგენლებთან შეხვედრა და ერთობლივ გეგმებზე მოლაპარაკება. წყარო ამტკიცებს, რომ „ნაციონალები“ რუსებთან ერთად გეგმავენ საზღვრისპირა რეგიონებში სიტუაციის უკიდურესად გამწვავებას. სავარაუდოდ, გახშირდება ადამიანების გატაცებები, ტერაქტები და კაცმა არ იცის, კიდევ რა უბედურება მოუვათ თავში საქართველოს დაუძინებელ მტრებს. „ნაციონალები“ ამ ყველაფრიდან ერთდროულად რამდენიმე კურდღლის დაჭერას აპირებენ. ჯერ ერთი, თუ ამგვარი ფაქტები გახშირდა, საქართველოს ხელისუფლებას დასდებენ ბრალს, რომ კონფლიქტური რეგიონების საზღვრებს ვერ აკონტროლებს, ვერ იცავს თავის მოქალაქეებს. გარდა ამისა, მოსახლეობაში პანიკური განწყობა გაიზრდება, რაც ასევე „ნაცების“ წისქვილზე დაასხამს წყალს.

„ნაცები“ უკვე დიდი ხანია საქართველოს დროებით დაკარგული ტერიტორიებით სპეკულირებენ და

აკებებმა შედეგი ვერ გამოილო და ისინი რომ იყვნენ ხელისუფლებაში, ამას არ დაუშვებდნენ. ცხადია, ამით პოლიტიკურ სარგებელს ნახავენ.

შესაძლოა, ვინმემ იკითხოს, კონფლიქტურ რეგიონებში ხომ ევროსაბჭოს მონიტორები არიან და მათ ანრეაგირებენ, აღშფოთებას გამოთქვამენ, მერე მომხდარს დეტალურად სწავლობენ და ასეთსავე დეტალურ ანგარიშს აგზავნიან ევროსაბჭოში. აჰა, საქვეყნოდ ვწერ, რომ „ნაციონალები“ და რუსეთის სპეცსამსახურე-



კითხვაა. ლაპარაკია სპეცსამსახურების თანამშრომლებზე, დაზვერვის თანამშრომლებზე, რომლებიც წლების განმავლობაში აფხაზეთისა და შიდა ქართლის მიმართულებით მუშაობდნენ და იქ მოსახვედრად, უამრავი გზა და ბილიკი იციან. ბოლოს და ბოლოს, ერთხელ მე გადავიპარე გალის რაიონში ზუგდიდიდან, ქართველ მესაზღვრეებსაც ავუარე გვერდი და რუსულ-აფხაზურ ერთობლივ პოსტებსაც.

წყარო აცხადებს, რომ რუსულ სპეცსამსახურებს სააკაშვილის ემისრები ძალიან დიდ ფულს შეთავაზებენ, რომ ეს გეგმა განახორციელონ. არც ის არის გამორიცხული, რუსეთის სპეცსამსახურებმა ფული აიღონ და საქართველოს ტერიტორიაზე მკვლელობები, ტერაქტები, ქართველების გატაცებები ოსებსა და აფხაზებს განახორციელებინონ. შურისმაძიებლებს თავი რომ დავანებოთ, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში, რუსული სპეცსამსახურების

# ვახტანგ მაისაია: „სააკაშვილმა უკვე დააანონსა, რომ სახელმწიფო გადატრიალებას აპირებს... ეს რევოლუციური პროცესის ნაწილი იქნება“

**„აფხაზეთში იმყოფება წალენჯიხის კუდ-ის უფროსი, სავარაუდოდ, ისიც მეგის ქარდავასთან ერთად არის და ცხადია, არც ის იტყვის უარს „ნაციონალთა“ დავალებების შესრულებაზე“**

ხელისუფლებას ბრალს სდებენ, რომ რუსეთ-აფხაზეთს შორის ხელშეკრულების გაფორმება და ერთობლივი ჯარის შექმნა აფხაზეთის ანექსიის პროცესის დაწყებაა, სწორედ დღევანდელი ხელისუფლების ბრალია, რომ რუსეთთან მოლაპარ-

გარიშს არ გაუწევენ რუსები, როცა ამ პროვოკაციებს მოაწყობენო? ეგ ევროკავშირის მონიტორები რუსებს სულ ფეხებზე ჰკიდია. მესამე წელია, რაც საქართველოში არიან, ამ დროის მანძილზე კონფლიქტურ რეგიონებში საზღვრის უკანონო გადმოწევის, ადამიანთა გატაცების არაერთი ფაქტი მოხდა, მაგრამ ევროპელ მონიტორებს ჯერ არც ერთი ამგვარი შემთხვევა არ აღუკვეთავთ. ეგენი პოსტფაქტუმ

ბი ერთობლივ პროვოკაციებს გეგმავენ და მრავალი უბედურების დატრიალებას აპირებენ. ამას ეს ევროკავშირელი მონიტორებიც შეიტყობენ, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, პრევენციის მიზნით თითს არ გაანძრევენ. ამას ყველანი მალე დაინახავთ.

წყარო აცხადებს, რომ ცხინვალსა და სოხუმში სამხედრო დაზვერვისა და კუდ-ის ის ყოფილი თანამშრომლები გაგზავნა სააკაშვილმა, ვისაც მანამდეც სისტემატური კონტაქტი ჰქონდათ რუსეთის სპეცსამსახურებთან და ამ კონტაქტებს პოლიტიკური და სხვა მიზნებისთვის იყენებდა სხვადასხვა დროს. თუ ვინმეს კითხვა გაუჩნდება, როგორ გადავიდნენ კონფლიქტურ ზონაში უჩუმრად, როცა ამ პირობით საზღვრებს საქართველოს საპოლიციო ძალები აკონტროლებენო, მათ ვეტყვი, რომ ეს ძალიან მიამიტური

კონტროლქვეშ არაერთი კრიმინალური დაჯგუფება და ყოფილი „ბოევიკია“, რომელთაც ქართველთა სისხლი მრავალგზის დაულვრიათ.

**„ალია“ ამ ინფორმაციებთან დაკავშირებით, კომენტარისთვის ექსპერტს უსაფრთხოების საკითხებში, ვახტანგ მაისაიას დაუკავშირდა:**

**— ბატონო ვახტანგ, რამდენად სარწმუნოდ მიგაჩნიათ ინფორმაცია, რომ მიხეილ სააკაშვილმა სამხედრო დაზვერვისა და კუდ-ის ყოფილი თანამშრომლები მიავლინა აფხაზეთსა და ცხინვალში რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად, რომ საზღვრისპირა რეგიონებში გახშირდეს ადამიანის გატაცების, მოკვლის, ტერაქტების, სახლების გადაწვის ფაქტები?**

– აბსოლუტურად სარწმუნოდ მიმაჩნია და გეტყვით, რატომ. „ნა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ვილად არ აკლია. წყარო აცხადებს, რომ ამ დღეებში, სააკაშვილის უშუალო დავალებით, სამხედრო კონტრდაზვერვისა და კუდ-ის ყოფილი თანამშრომლები, ცხინვალსა და სოხუმში გაემგზავრნენ. მათი იქ ჩასვლის მიზანია, რუსეთის სამხედრო დაზვერვის, „გრუ“-სა და ფედერალური დაზვერვის, „ფე-ეს-ბე“-ს წარმომად-

**„ნაცები“ უკვე დიდი ხანია საქართველოს დროებით დაკარგული ტერიტორიებით სპეკულირებენ და ხელისუფლებას ბრალს სდებენ, რომ რუსეთ-აფხაზეთს შორის ხელშეკრულების გაფორმება და ერთობლივი ჯარის შექმნა აფხაზეთის ანექსიის პროცესის დაწყებაა, სწორედ დღევანდელი ხელისუფლების ბრალია, რომ რუსეთთან მოლაპარაკებებმა შედეგი ვერ გამოილო და ისინი რომ იყვნენ ხელისუფლებაში, ამას არ დაუშვებდნენ. ცხადია, ამით პოლიტიკურ სარგებელს ნახავენ**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## აქციის მონაწილეებმა „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს



„თავისუფალმა თაობამ“ და „ახალგაზრდულმა ცენტრმა“ „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისთან საპროტესტო აქცია გამართეს. „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერებმა მათ საწინააღმდეგო აქციას სიმღერით „მიშა მაგარია“ უპასუხეს.

შენობის მოპირდაპირე მხარეს, საავტომობილო გზაზე იმყოფებოდნენ აქციის მონაწილეები. „ნაციონალური მოძრაობის“ კი – შენობის ეზოში. მათ დინამიკები ჰქონდათ გამოტანილი და სიმღერა ჩართული. ამის გამო „თავისუფალი თაობისა“ და „ახალგაზრდული ცენტრის“ წარმომადგენლებმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებს. მხარეებს შორის პოლიცია იდგა.

„თავისუფალი თაობისა“ და „ახალგაზრდული ცენტრის“ წევრები აცხადებენ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ რუსეთთან არის შეკრული და ისინი 15 ნოემბერს ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოწყობას შეეცდებიან.

აქციის მონაწილეებმა „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისთან ავტომობილები მიიყვანეს და სიმღერის გადაფარვა სიგნალებით სცადეს. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## მოსკოვი ინტეგრაციის დოკუმენტს ცხინვალისთვისაც ამზადებს



სააგენტო „ოსრადიოს“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ცხინვალის ე.წ. პარლამენტის სპიკერმა ანატოლი ბიბილოვმა განაცხადა, რომ თანამშრომლობისა და ინტეგრაციის დოკუმენტი მოსკოვსა და ცხინვალს შორისაც მზადდება.

„ხელშეკრულება, რომელიც მზადდება, უფრო ფართო იქნება, ვიდრე აფხაზური ვერსია. ხელშეკრულების ის ვარიანტი, რომელიც აფხაზეთსა და რუსეთს შორის ხელმოსაწერად მზადდება, სამხრეთ ოსეთის ხალხის ყველა მისწრაფებას, რუსეთის ფედერაციაში შესვლის სურვილს არ ასახავს“, – განაცხადა ბიბილოვმა და აღნიშნა, რომ დოკუმენტს ხელი წლის ბოლომდე უნდა მოეწეროს. (ნიუპოსტი)



## ფრანსუა ოლანდმა სომხეთსა და აზერბაიჯანს უშუამავლა

საფრანგეთმა მთიანი ყარაბახის შესახებ მოლაპარაკებაში შუამავლის როლი იკისრა. ფრანსუა ოლანდმა სომხეთისა და აზერბაიჯანის ლიდერებს ელისეს სასახლეში უმასპინძლა, შეხვედრის მთავარი შედეგი მხარეებს შორის პირდაპირი დიალოგის განახლებაა.

სერჟ სარქისიანი და ილჰამ ალიევი ყარაბახში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შესახებ ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმდნენ. პროცესს კი წითელი ჯვარი დააკვირდება. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

ციონალებმა“ უკვე დააანონსეს, რომ რევოლუციის გზით აპირებენ ხელისუფლებაში მოსვლას. ყველა რევოლუცია კი არეულობასა და დესტაბილიზაციას ნიშნავს. „ნაციონალებმა“ ძალები უკვე მოსინჯეს, ხალხის შემზადება-შეგუება უკვე დაიწყეს. ამის დასტურია ჟურნალისტ ზაზა დავითაიას ორჯერ ცემა. ახლა გამოვიდა ვიღაც „ნაცზონდერი“ გიორგი ხმელიძე და აცხადებს, ვალერი გელაშვილი მე ვცემე და თუ შანსი მექნა, კიდევ გავუსწორდებიო. არ დაგვავიწყდეს, ჩვენ ვლაპარაკობთ მიხეილ სააკაშვილზე და მისი ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებზე, რომელთაც „სიკვდილის ესკადრონები“ ჰყავდათ, ხალხს იტაცებდნენ, ხოცავდნენ და მათი გზა-კვალი დღემდე არავინ იცის.

ახლა აფხაზეთში გადასხმულ „ნაციონალთა“ დესანტზე გეტყვით. მართალია, ვრცელდება ინფორმაციები, რომ მეგის ქარდავა თურქეთშია, მაგრამ, ჩემი ინფორმაციით, ის აფხაზეთშია, ჩაბარდა რუსეთის უშიშროების სამსახურებს, ახლა მათ კონტროლქვეშაა და უკვე დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ ამოქმედება. აფხაზეთში იმყოფება წალენჯიხის კუდ-ის უფროსი, სავარაუდოდ, ისიც მეგის ქარდავასთან ერთად არის და ცხადია, არც ის იტყვის უარს „ნაციონალთა“ დავალებების შესრულებაზე. თქვენი წყაროს ინფორმაციას თუ გავყვებით, ლოგიკურ დასკვნამდე მივალთ – მეგის ქარდავა შუამდგომლობს „ნაციონალთა“ ხელისუფლების ყოფილი სპეცსამსახურების წარმომადგენლებსა და რუსეთის სპეცსამსახურებს, რომ საქართველოს, ქართველი ხალხის წინააღმდეგ ეს უბედურებები დაგეგმონ.

**— რამდენად რეალურია, რომ აფხაზეთსა და რუსეთში მყოფმა რუსული სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა, ფული აიღონ „ნაციონალებისგან“, ათასი უბედურება ჩაიდინონ კონფლიქტის მოსაზღვრე რეგიონებში და ეს მოსკოვთან შეთანხმების გარეშე მოხდეს?**

– მერედა ვინ ამბობს, რომ მოსკოვში არ შეუთანხმებენ? ფულსაც აიღებენ და თავიანთი ხელმძღვანელებისგან დასტურსაც მიიღებენ, საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებში სიტუაციის არევა ახლა სწორედ რუსეთს აწყობს, რათა გადაფაროს აფხაზეთთან დაგეგმილი სამხედრო ხელშეკრულება, რომლის გაფორმებასაც მალე აპირებენ. ასევე, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება, მალე აპირებს გადაწყვეტილების მიღებას, რომ ეს რეგიონი ჩრდილოეთ ოსეთს, ანუ რუსეთს შეუერთონ. ამას რომ დიდი ამბები მოჰყვება, ეს ცხადია და ამის გადასაფარავად, სწორედ ასეთი პროვოკაციები სჭირდებათ. სააკაშვილმა უკვე დააანონსა, რომ სახელმწიფო გადატრიალებას აპირებს და ეს არეულობა კონფლიქტური რეგიონების სიახლოვეს, საერთო ფონის დაძაბვას შეუწყობს ხელს, ეს რევოლუციური პროცესის ნაწილი იქნება.



**ეგ ევროკავშირის მონიტორები რუსებს სულ ფეხებზე ჰკიდია. მესამე წელია, რაც საქართველოში არიან, ამ დროის მანძილზე კონფლიქტურ რეგიონებში საზღვრის უკანონო გადმოწევის, ადამიანთა გატაცების არაერთი ფაქტი მოხდა, მაგრამ ევროპელ მონიტორებს ჯერ არც ერთი ამგვარი შემთხვევა არ აღუკვეთავთ. ეგენი პოსტფაქტუმ რეაგირებენ, აღშფოთებას გამოთქვამენ, მერე მომხდარს დეტალურად სწავლობენ და ასეთსავე დეტალურ ანგარიშს აგზავნიან ევროსაბჭოში**



**თუ ვინმეს კითხვა გაუჩნდება, როგორ გადავიდნენ კონფლიქტურ ზონაში უჩუმრად, როცა ამ პირობით საზღვრებს საქართველოს საპოლიციო ძალები აკონტროლებენო, მათ ვეტყვი, რომ ეს ძალიან მიამიტური კითხვაა. ლაპარაკია სპეცსამსახურების თანამშრომლებზე, დაზვერვის თანამშრომლებზე, რომლებიც წლების განმავლობაში აფხაზეთისა და შიდა ქართლის მიმართულებით მუშაობდნენ და იქ მოსახვედრად, უამრავი გზა და ბილიკი იციან**



**ვრცელდება ინფორმაციები, რომ მეგის ქარდავა თურქეთშია, მაგრამ, ჩემი ინფორმაციით, ის აფხაზეთშია, ჩაბარდა რუსეთის უშიშროების სამსახურებს, ახლა მათ კონტროლქვეშაა და უკვე დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ ამოქმედება. აფხაზეთში იმყოფება წალენჯიხის კუდ-ის უფროსი, სავარაუდოდ, ისიც მეგის ქარდავასთან ერთად არის და ცხადია, არც ის იტყვის უარს „ნაციონალთა“ დავალებების შესრულებაზე**

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ალასანიას გუნდსა და უმრავლესობას შორის უთანხმოება



იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე საპარლამენტო უმრავლესობის წევრის შალვა შავგულიძის ინიციატივა განიხილეს, რომელიც პერსონალურ მონაცემებზე წვდომის გასაღებთან დაკავშირებული პროექტის მომზადების გადავადებას გულისხმობს,

კომიტეტმა ინიციატივას 5 ხმით 2-ის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა. ინიციატივის მომხრეა დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი, ხოლო წინააღმდეგ გამოდიან საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ზურაბ აბაშიძე და ანი მიროტაძე. მათი განცხადებით, ამ საკითხის გადაჭრა 1-ელ ნოემბრამდე იყო შესაძლებელი.

ზურაბ აბაშიძე ასევე აღნიშნავს, რომ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის მექანიზმებთან დაკავშირებით კანონპროექტის მომზადების ვადის 6 თვით გადაწევას მხარს არ დაუჭერს მთლიანად საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება – თავისუფალი დემოკრატები“. ფრაქციის კიდევ ერთი წევრი, ნინო გოგუაძე არ გამორიცხავს, რომ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის გასაღებთან დაკავშირებული პროექტის მომზადების საბოლოო ვადის გადაწევა იმ უწყებების ხისტი პოზიციის გამო მოხდა, რომლებიც ე.წ. გასაღები შინაგან საქმეთა სამინისტროში დატოვებას ემხრობიან. თავად გოგუაძე ამის წინააღმდეგია და მიიჩნევს, რომ გასაღები შსს-დან აუცილებლად უნდა გამოვიდეს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს შესახებ გაფრთხილებაში დაზუსტება გააკეთა




გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურ ვებგვერდზე საქართველოს შესახებ გამოქვეყნებულ გაფრთხილებაში შესწორება შეიტანა და დააზუსტა:

„საქართველოში ვითარება მშვიდია, თუ არ ჩავთვლით კონფლიქტურ რეგიონებს (აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს). აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არ არის ოფიციალური თბილისის კონტროლქვეშ, იქ რუსი ჯარისკაცები არიან განლაგებულნი. კონფლიქტურ რეგიონებში არსებული სიტუაცია, ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს. მოგზაურობის შეზღუდვა ეხება მხოლოდ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებს. ტექსტში გათვალისწინებული შეზღუდვები ეყრდნობა საქართველოს კანონს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ და მოქალაქეებს მოუწოდებს, თავი შეიკავონ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მოგზაურობისგან“, – ნათქვამია განცხადებაში. საქართველო გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურ სიაში, რომელიც მოგზაურთა საგანგებოდ გაფრთხილებას ითვალისწინებს, 2008 წლიდან შეიყვანეს. (რეპორტიორი)

# გოგა ხაინდრავა: „როგორ შეიძლება თავისუფალი და მიუკერძოებელი ჟურნალისტი იქცეოდეს ისე, როგორც გრიგოლია იქცევა?!.“



ქართულ მედიასივრცეში ახალი პროცესები იწყება. უკავშირდება თუ არა ეს მხოლოდ ფინანსურ კრიზისს, თუ ამ ყველაფრის მიღმა პოლიტიკა დგას? ეს არის კითხვა, რაზეც კულუარებში ურთიერთგამომრიცხავ პასუხებს მოისმენთ. 28 ოქტომბერს ტელეკომპანია „მაესტროს“ გადაცემის წამყვანებმა, ჟურნალისტებმა და ოპერატორებმა არხი დატოვეს... დიანა ტრაპაიძემ და თეონა გეგელიამ გუშინვე დაადასტურეს ინფორმაცია, რომ ისინი ამ არხზე აღარ იქნებიან, მაკა ცინცაძე, სოფო ზურაბიანი, რამდენიმე ოპერატორი მათ გზას გაჰყვნენ. ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ნინო ჟიჟილაშვილიც ტოვებდა არხს, მაგრამ არ დადასტურდა. და მაინც, ვისთან მიდის არხის დატოვების მიზეზი? ბევრ ტელეჟურნალისტს მათი კრიტიკის ფონზე ახსენდება ე.წ. ქობულეთის შეხვედრა, სადაც ბიძინა ივანიშვილი შეხვდა ტელეკომპანია „იმედის“ ხელმძღვანელებს, ექსპერტებს და სხვა საზოგადო მოღვაწეებს. მხოლოდ მოარული ხმებით ვიცით, რომ ივანიშვილმა ტელეკომპანია „იმედის“ პოზიცია გააკრიტიკა. ამ შეხვედრას ესწრებოდა გოგა ხაინდრავაც, თუმცა ის არ ადასტურებს, რომ ივანიშვილის მხრიდან იყო კრიტიკა ტელეკომპანია „იმედის“ მისამართით. „ალიაში“ გამოქვეყნებულ გოგა ხაინდრავას ინტერვიუს გასულ კვირაში ინგა გრიგოლიას მწვავე რეაქცია მოჰყვა, შეგახსენებთ, რომ გრიგოლიამ გამოთქვა შეშფოთება და განაცხადა: „ქობულეთის შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილის გოგა ხაინდრავას შემოტევა ჩვენს გადაცემაზე განსაკუთრებით არასასიამოვნო სიგნალი აღმოჩნდა პირადად ჩემთვის, არა ხაინდრავას გამო, არამედ იმის გამო, რომ ამ შეხვედრაში ბიძინა ივანიშვილიც მონაწილეობდა“. ხაინდრავას პათოსი „იმედს“, „რუსთავი 2“-სა და „მაესტროს“ ერთდროულად ეხებოდა: „როცა „იმედს“ ვუყურებ, თმები ყალყზე მიდგება, რადგან ტელეარხზე ბაქქანალიაა, ეს არის სრული სიბინძურე, ფარისევლობა, ის პროპაგანდა, რომელიც წამლავს საზოგადოებას“.

**გოგა ხაინდრავამ „კვირის ქრონიკას“ პირობა მისცა, რომ ის ვრცელ ინტერვიუს ამ თემაზე „ალიას“ მისცემდა, მან პირობა შეასრულა და ახლა თქვენ ვრცლად წაიკითხავთ მის პოზიციას, რატომ არ გადაწყვიტა, ეს ყველაფერი გრიგოლიას ეთერში ან სხვა რომელიმე არხზე ეთქვა. ცხადია, „რუსთავი 2“-ის გარდა, რადგან მას ბევრჯერ აქვს ნათქვამი, რომ ის ამ ტელეკომპანიაში არ მივა. დგას თუ არა მისი განცხადების უკან ბიძინა ივანიშვილის ინტერესი და რას ფიქრობს „მაესტროში“ ჟურნალისტების დემარშზე?..**

**— გამოითქვა ვარაუდი, რომ თქვენ ბიძინა ივანიშვილის პათოსს აჟღერებთ. საზოგადოებისთვის ცნობილია ჟურნალისტებისადმი მისი დამოკიდებულება, გულწრფელად გვითხარით, რა მოხდა ქობულეთის შეხვედრაზე, იყო თუ არა კონკრეტული კრიტიკა ჟურნალისტების მიმართ?**

– მე არ მესმის, რატომ დაიხვიეს ხელზე ე.წ. ქობულეთის შეხვედრა, ინტერვიუ, რომელიც „ალიაში“ გამოქვეყნდა, გრიგოლიას გამოსვლამ ერთიერთში დაადასტურა ყველა ის პრეტენზია, რომელიც იმ სტატიაში იყო მოხსენიებული. ჩემი მხრიდან იყო ძირითადი პრეტენზია ის, რომ „რეაქციის“ წამყვანი არის პოლიტიკურად ანგაჟირებული ადამიანი, ხდება სიცრუის ტირაჟირება, ეთერს იყენებს პირადი ინტერესებისა და პირადი ვნებების დასაკმაყოფილებლად და არა საზოგადოების ინტერესის დასაკმაყოფილებლად. მივყვეთ და სამივე განვიხილოთ. პირველი და მთავარი არის პოლიტიკურად ანგაჟირებული, ეს ნიშნავს, რომ ასრულებს იმ დაკვეთას, რასაც ერთ-ერთი მარგინალური ჯგუფი ახორციელებს. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რა დაკვეთაა ის, რომ რაც კი ქვეყანაში ხდება, ყველაფერი დაჰბრალდეს ბიძინა ივანიშვილს. ჩვენ ამ ტენდენციას ვხედავთ ყველგან და ყველაფერში და ეს ტენდენცია შეინიშნება გრიგოლიას გადაცემებში. მან ძალიან კარგად იცის, რომ ჩემს მოსაზრებას მედიაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, არავითარი კავშირი ბიძინა ივანიშვილთან არ აქვს. ამის შესახებ გუშინ და დღეს არ დამიწყია ლაპარაკი და წლებია, ვსაუბრობ. ინგა გრიგოლია ამ შემთხვევაში ნაკლებად მაინტერესებს, მე ვარ გულშემატკივარი ტელეკომპანია „იმედის“, თქვენ კარგად იცით, რომ ეს არის საკითხი, რომელიც წლების მანძილზე იყო ჩემთვის ძალიან ახლობელი, ძალიან მტკივნეული, დიდი ენერგია მაქვს ჩადებული იმისთვის, რომ ეს არხი დაგვეცვა და ეს არხი იყო ქართველი საზოგადოებისთვის იმედი, რომელიც დღეს ამ „იმედს“ კარგავს... კარგავს იმიტომ, რომ სიცრუის ტირაჟირება ხდება, ამას ახორციელებს ინგა გრიგოლია. თურმე მიდის შეტევა პრესის წინააღმდეგ, რომელიც ასევე გაჟღერებული იყო მის პასუხში. ამიხსნას, რა შტურმი და რა შეტევა ხდება პრესის წინააღმდეგ, მე რომ „ალიას“ მივეცი ინტერვიუ, ეს შეტევაა მედიის წინააღმდეგ? ეს არის ყურით მოთრეული თემა, თითქოს, ბიძინა ივანიშვილი და ხაინდრავა შეხვდნენ ერთმანეთს ქობულეთში და ახორციელებენ მედიაზე შტურმს. ეს განცხადება იყო ასევე პოლიტიკურად ანგაჟირებული და იმ დაკვეთის შესრულება, რომელიც არსებობს „ნაციონალური მოძრაობისგან“, ახლა რასაც მე ვლაპარაკობ, არხის გასაგონად ვამბობ. ინგა გრიგოლიასთან საკამათო არაფერი მაქვს და არც მაინტერესებს, მაგას ყველაფრის უფლება აქვს, ამ ყველაფრის უფლებას ის ყოველთვის იყენებდა, აწიც გამოიყენოს, მისი საქმეა, ჩემთვის პრობლემა „იმედია“ და არა, „რეაქციის“ წამყვანი. რაც უნდა, ის ილაპარაკოს, ისევე, როგორც „რუსთავი 2“ ლაპარაკობს და ილაპარაკოს, რამდენიც უნდა... ერთი რამ დაიმახსოვრონ, არანაირი შეტევა პრესაზე არ მიმდინარეობს.



„თუ დაინტერესებული ხარ, საზოგადოება გაარკვიო შექმნილ ვითარებაში, დაუძახე ხაინდრავას და ჰკითხე პირდაპირ ეთერში, რას გვერჩი, გოგა, რატომ ხმარობ ასეთ ეპითეტებს, რატომ გვწამებ ცილს“

**— კონკრეტული ფაქტები გაქვთ, რომ ინგა გრიგოლია საკუთარ ინტერესებს ემსახურება, ან რა ინფორმაცია გაქვთ, რომ ის მარგინალური ძალის ინტერესებს ატარებს?**

– ის, რომ საკუთარ ინტერესებს ემსახურება და არა საზოგადოების, იქიდან ჩანს, რომ მე არ დამიძახა, თუ შენ გინდა, რომ საზოგადოებას ემსახურო და სადღაც პრობლემა დაინ-

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აჭარის ტელევიზიის თბილისის ბიურო დაიხურა

აჭარის ტელევიზიის თბილისის ბიუროს პროდიუსერის, პაატა შამუგიას განცხადებით, აჭარის ტელევიზიის თბილისის ბიურო დაიხურა. აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამისი ბრძანება თბილისის ბიუროში უკვე მივიდა. ტელევიზიის თბილისის ბიურო მუშაობას 1-ლი ნოემბრიდან შეწყვეტს.

„ბრძანებაში ნათქვამია, რომ თბილისის ბიურო ადამიანური რესურსის შემცირებისა და ეკონომიის მიზნით იხურება“, – აცხადებენ ტელევიზიაში. აჭარის ტელევიზიას თბილისში ბიურო 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჰქონდა. (ინტერპრესნიუსი)

## გომბორის უღელტეხილზე ავტომობილი მდინარე იორში გადავარდა




გომბორის უღელტეხილზე „კიას“ მარკის ავტომობილი მდინარე იორში გადავარდა. მანქანაში მჯდომი 5 მგზავრიდან კახეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებმა ყველას გადარჩენა შეძლეს.

შემთხვევა მდინარე იორის წყალსაცავზე მოხდა. სამაშველო ოპერაცია დაახლოებით ნახევარი საათი გაგრძელდა. სამაშველო სამსახურის უფროსის მოადგილის, მიშა ოსოშვილის ინფორმაციით, მანქანა წყალმა გვირაბში შეიტანა, რის გამოც წყალსაცავში წყლის გადაკეტვა გახდა საჭირო. წინასწარი ინფორმაციით, ავტოავარიის მიზეზი, უღელტეხილზე ნისლი და ცუდი ხილვადობა გახდა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ჩვენი ხელისუფლება ხიბლში იმყოფება“




„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე შს სამინისტროს მიერ დანაშაულის შემცირებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ სტატისტიკას ეხმაურება:

„ბუნებრივია, არ ვარ სპეციალისტი კრიმინოგენურ ვითარებასთან დაკავშირებით, მაგრამ ერთი რამ შემიძლია ვთქვა, როგორც მოქალაქესა და პოლიტიკოსს, ყოველდღიურად მესმის მკვლელობების, ძალადობების, გატაცებების შესახებ. ყოველდღიურად მესმის, რომ ადამიანები არ გრძნობენ თავს უსაფრთხოდ და ამაზე არა მარტო შინაგან საქმეთა სამინისტრომ, არამედ ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს. თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება არის ხიბლში, რაც დღითი დღე უფრო და უფრო მტკიცდება. აბსოლუტურად არაადეკვატურად აფასებენ მიმდინარე პროცესებს და ეს სერიოზულ პრობლემებს უქმნის ქვეყანას“, – განაცხადა ბურჯანაძემ. (ინტერპრესნიუსი)

*მეხუთე გვერდიდან*

ახე და დაინტერესებული ხარ, საზოგადოება გაარკვიო შექმნილ ვითარებაში, დაუძახე ხაინდრავას და ჰკითხე პირდაპირ ეთერში, რას გვერჩი, გოგა, რატომ ხმარობ ასეთ ეპითეტებს, რატომ გვწამებ ცილს, თუ არ ეთანხმები იმას, რასაც მე ვლაპარაკობ და თუ ხარ დარწმუნებული შენს სიმართლეში, დამიძახე, მაგრამ არა, ამას აკეთებს უჩემოდ, არასოდეს არ დამიძახებს, რადგან ძალიან კარგად იცის, ჩემგან რა პასუხს მიიღებს, ძალიან კარგად იცის, რა პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებს. ისიც იცის, რომ ამის შესახებ ყველაფერი დეტალურად ვიცი. თვითონვე იცის, რომ ცრუობს, რადგრიგოლიას, მის გადაცემას ცქიტიშვილი და ბოკერია, მაგრამ ის, რომ იმ ადამიანებში, ვისთვისაც ძალიან ძვირფასი იყო „იმედი“, ვინც „იმედის“ გულისთვის თავს წირავდა, ციხეში მიდიოდა, მათ თვალში რომ ამის გამო რეიტინგი ვარდება, ეს ნამდვილად ვიცი. ძალიან მწყდება გული, როდესაც იმის მომსწრე ვხდები, რომ ის ხალხი, ვინც „იმედის“ იმედად იყო, დღეს „იმედზე“ განაწყენებულია, აი, ეს არის ჩემი სატკივარი. ვიმეორებ, გრიგოლიამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ჩემი განცხადების უკან ივანიშვილი არ დგას, მაგრამ მან შეასრულა დაკვეთა, საზოგადოებაში ჩააგდო აზრი, რომ ხაინდრავა ქობულეთში შეხვდა ივანიშვილს და იქ დაიგეგმა პრესის

**„სხვა საქმეა, რაც მაესტროზე“ ხდება, „მაესტროზე“ საინტერესო პროცესები მიდის. ეს იყო სავარაუდო და მოსალოდნელი, ჩემთვის ეს ნამდვილად არ არის გასაკვირი, რაც მთავარია, წამყვანებმა და გუშინდელ დღეში ჩარჩენილმა არხის მფლობელებმა საკუთარ თავებს ჰკითხონ, რა მოხდება“**

გან მე ლაპარაკი „იმედთან“ დაკავშირებით ქობულეთამდე და სექტემბრამდე ბევრად უფრო ადრე მქონდა, იგივე ბახტაძესთან, რეზო საყევარიშვილთან, მეტსაც გეტყვით, ლონდონში ვიყავი ჩასული, ინა გუდავაძესა და ნანა პატარკაციშვილს ვესაუბრე ამის შესახებ...

**— რაზე ესაუბრე მათ, რა უთხარით?**

– პირდაპირ ვუთხარი, რომ ეს არის ანგაჟირებული გადაცემა და ემსახურება „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებს, ეს რატომ ხდება და ვისთვის, დგას თუ არა ამის მიღმა ანგარება, ეს მნიშვნელოვანი არ არის, მთავარია ის, რომ, რაც კეთდება, არის ფარისევლობა. მაგალითს მოგიყვანთ, როდესაც სამ თუ ოთხ შვილმკვდარ ადამიანს მოიყვან გადაცემაში და დასვამ კითხვას, კრიმინალმა აიწია თუ არა, შენ საზოგადოება შეგყავს შეცდომაში და ეს ხდება მიზანმიმართულად, კიდევ უამრავი მაგალითის ჩამოთვლა შემიძლია. აი, ამ კონკრეტული ფაქტებით ვესაუბრე მათ და ვუთხარი, მე არ ვიცი, რა რეიტინგს უწერენ წინააღმდეგ შეტევა. ეს არის ბოკერიას მოდელი, რაც ჩვენ ვიხილეთ „რუსთავი 2“-ზეც, როცა შიზოფრენიკ სააკაშვილს ფურცელზე ჰქონდა დაწერილი ბოკერიასგან, რა უნდა ელაპარაკა, ისევე, როგორც გაბუნიას ჰქონდა ფურცელზე დაწერილი, რა უნდა ეკითხა მისთვის, მაგრამ ვერც ერთი და ვერც მეორე ფოკუსში ვერ ჯდებოდნენ, რადგან გაბუნიას არ ახსოვდა კითხვის შინაარსი, ახალი დაწერილი იყო კითხვები და სულ ფურცელში იხედებოდა, ის შიზოფრენიკი კი რას უბერავდა და რას ლაპარაკობდა, თვითონაც არ იცოდა, ისედაც 10 სიტყვაში 15 სიტყვას ტყუილს იძახის.

**— ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ თქვენი ძირითადი სამიზნე იყო „რუსთავი 2“, მაგრამ თქვენ გიპასუხათ ინგა გრიგოლიამ. ამ პიროვნებას აქვს პრეტენზია, იყოს სამართლიანი ჟურნალისტი, მიუკერძოებელი, როცა თქვენ მას ბრალდებას უყენებთ, ამის უკან უნდა არსებობდეს კონკრეტული ფაქტები და ეს არ უნდა იყოს მხოლოდ ემოციური განცხადებები... ბოკერია რა შუაშია ინგა გრიგოლიასთან?**

– როგორ შეიძლება თავისუფალი და მიუკერძოებელი ჟურნალისტი იქცეოდეს ისე, როგორც გრიგოლია იქცევა?!. მე წავიკითხე თქვენი პუბლიკაცია, სადაც წერდით, როცა ირღვევა ელექტრონულ მედიაში ეთიკის ნორმები, სად არიან ე.წ. მედიაექსპერტები, რომელთა სამიზნეც მხოლოდ ბეჭდური მედიაა? მაჩვენონ, სად არიან ის ექსპერტები, რატომ დუმან, რა ხდება ამ ქართულ მედიასივრცეში? არ არსებობს არანაირი პასუხისმგებლობა არც ერთი განცხადების უკან, როდესაც უხეშად ირღვევა ეთიკის ნორმები, ეძახიან ეთერში ადამიანებს, რომელთაც კონკრეტულ მკვლელობებში აქვთ მონაწილეობა მიღებული, წესით, ისინი სასამართლო სკამზე უნდა ისხდნენ და არა ეთერში. ისინი ხელს უწყობენ ამ კრიმინალების „გათეთრებას“, მით უმეტეს, ეს კრიმინალები „იმედის“ გადაცემებში არ უნდა ისხდნენ, ვინც პირდაპირ მონაწილეობდნენ ბადრი პატარკაციშვილის მოწამვლაში, მის დევნაში და აღარ ვიცი, რა დავარქვა ამას, რამაც, საბოლოო ჯამში, გამოიწვია ის შედეგი, რაც დადგა. დღეს ბადრი პატარკაციშვილი ცოცხალი არ არის, არადა, მე „იმედის“ გადაცემებში ვხედავ იმ ადამიანებს, ვინც ავტორები იყვნენ ბადრის კოლექტიური მოკვლის, როცა ამას ხედავ, რა გულმა უნდა გაგიძლოს? კი მაგრამ, ამ ქვეყანაში არ არის საინტერესო თემები, რომელიც გადაცემას რეიტინგს აუწევს? მაგრამ არა, ყოველკვირეულად გადაცემიდან გადაცემაში ხდება რევოლუციური რეჟიმის შექმნა, რომ არიქა, რაღაც დაპირისპირებაა, სადაცაა აფეთქდება აქაურობა, არის გაუთავებელი წიოკი, სრული ისტერიკაა სატელევიზიო ეთერებში.

**— კულუარებში ვრცელდება ინფორმაცია, რომ შესაძლოა, იანვარში გრიგოლიას გადაცემა „რეაქცია“ დახურონ...**

– თუ ინგა გრიგოლიას გადაცემას დახურვა დაემუქრება, დაემუქრება საკუთარი არხის მესვეურებისგან, მეტი საიდან უნდა დაემუქროს? მაინტერესებს, დღეს საქართველოში, ამიხსნას ვინმემ, როგორ ემუქრება რომელიმე გადაცემას დახურვა გარე ძალების მიერ, ვინ უნდა დახუროს? მე რამდენადაც ვიცი, „იმედის“ არხის მესვეურები ინგა გრიგოლიას გადაცემით კმაყოფილები არიან და ამბობენ, მაღალი რეიტინგი აქვსო. ყოველ შემთხვევაში, ჩემთან საუბრისას არგუმენტაცია ასეთი გახლდათ, ამაზე ჩემი პასუხი იყო, რომ ამ რეიტინგს ინგა გრიგოლიას უწერს ბოკერია, ცქიტიშვილი და არა, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ორგანიზაცია. ამიტომ ამ რეიტინგის ფასი არის ნული. ჩემთვის მთავარია საზოგადოების აზრი და იმ ადამიანების აზრი, ვინც „იმედის“ გულისთვის თავს სწირავდა, მათი აზრია ჩემთვის რეიტინგი.



**„გარდა იმისა, რომ ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრია, ის ხომ ჩვეულებრივი ადამიანია?.. ცხოვრება ხომ წინ მიდის. უმძიმესი წარსულიდან ვართ გამოსული, შეიძლება მხოლოდ ნეგატიურ რეჟიმში მოვლენების გაშუქება? ჩვენ თუ გვაქვს პრეტენზიის გამოთქმის უფლება, ღარიბაშვილს, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს, ნუ წავართმევთ აზრის გამოთქმის უფლებას“**

**— გუშინ ცნობილი გახდა, რომ „ჯიდიესი“ პოლიტიკურ მაუწყებლობაზე გადადის. ეს უკავშირდება თუ არა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ტოქშოუს ეთერში გასვლას?**

– მე არ ვიცი, ბიძინა ივანიშვილის ტოქშოუ იქნება თუ არა პოლიტიკური, არ ვმონაწილეობ ამ პროცესში, არც თანაწამყვანი ვარ და არც სხვა ფორმით მონაწილეობას არ მივიღებ. აბსოლუტურად სხვა საქმით ვარ დაკავებული, ამიტომ, ვერ გაგცემთ პასუხს, რა ტიპის გადაცემა იქნება, თუმცა მოლაპარაკებები და ფიქრი რომ მიმდინარეობს ამ გადაცემაზე, ეს ამბავი ვიცი. სხვა საქმეა, რაც მაესტროზე“ ხდება, „მაესტროზე“ საინტერესო პროცესები მიდის. ეს იყო სავარაუდო და მოსალოდნელი, ჩემთვის ეს ნამდვილად არ არის გასაკვირი, რაც მთავარია, წამყვანებმა და გუშინდელ დღეში ჩარჩენილმა არხის მფლობელებმა საკუთარ თავებს ჰკითხონ, რა მოხდება, ნუ ეძებენ შავ კატას ბნელ ოთახში, როცა ის კატა იმ ოთახში არ არის. პოლიტიკურ ანგაჟირებას თავი დაანებონ და ყველაფრის დაბრალებას ხაინდრავასა და ივანიშვილზე. თავის გასვრილ საქმეს თვითონ მოუარონ.

**— არ შემიძლია, არ ჩაგეკითხოთ პრემიერ-მინისტრის ორწლიანი ანგარიშის მოხსენებისას გაკეთებულ განცხადებაზე: „ბევრ მიღწევას ტელევიზიებში არ აჩვენებენ, არ უხარიათ...“ მან მიანიშნა, რომ ნაწყენია ტელევიზიებზე.**

– გარდა იმისა, რომ ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრია, ის ხომ ჩვეულებრივი ადამიანია? როგორც სხვა მაყურებელი, ისიც ხედავს, რა რევოლუციური ისტერიკაა ტელევიზიებში. მით უმეტეს იმ ქვეყანაზეა ლაპარაკი, რომელიც სააკაშვილის მონური რეჟიმიდან გამოვიდა, იმ ფონზე, ასეთი განწყობების შექმნა ხომ არაბუნებრივია, საზოგადოება ხომ ხედავს, რომ რეალობასთან მათი გადაცემების პათოსი არ არის, პრობლემები, რა თქმა უნდა, არის, უმუშევრობის, საკუთარ ოჯახებს ვერ არჩენს ხალხი, მაგრამ ამას გარდა, ცხოვრება ხომ წინ მიდის. უმძიმესი წარსულიდან ვართ გამოსული, შეიძლება მხოლოდ ნეგატიურ რეჟიმში მოვლენების გაშუქება? ჩვენ თუ გვაქვს პრეტენზიის გამოთქმის უფლება, ღარიბაშვილს, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს, ნუ წავართმევთ აზრის გამოთქმის უფლებას.

**— სააგენტო „ფორ.ჯი“ ავრცელებს ინფორმაციას: გადაწყვეტილია, რომ მაკა ასათიანის ქმარი კოტე გოგელია ტელეკომპანია „მაესტროს“ წილის მფლობელი აღარ იქნება, ტელეკომპანიის წილის გაყიდვასთან დაკავშირებით გარიგება უკვე შედგა თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით კეზერაშვილსა და კოტე გოგელიას შორის“... ინფორმაცია გადავამოწმეთ „მაესტროსთან“, რა თქმა უნდა, ამას არ ადასტურებენ, თუმცა ძალიან აქტიურად მუსირებს კეზერაშვილის ინტერესი მედიაში, ის კვლავ აპირებს მედიასივრცეში ფულის ჩადებას.**

– „რუსთავი 2“ კეზერაშვილისაა და სააკაშვილის, აბა, ვისი?.. ამ ინფორმაციის შესახებ პასუხი არ მაქვს, ვნახოთ, რა მოხდება, წინილებს შემოდგომაზე ითვლიან...

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## კანონპროექტი გაზზე მომუშავე ტაქსების მომსახურებას გააძვირებს?



უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი გაზგასამართ სადგურებთან დაკავშირებით პარლამენტში ინიცირებულ პროექტში გაზზე მომუშავე ტაქსების მომსახურების გაძვირების საფრთხეს ხედავს. საუბარია „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ დაგეგმილ ცვლილებებზე, რომლის მიხედვით, მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების სიას გაზგასამართი სადგური ემატება. ამასთანავე, განისაზღვრება პასუხისმგებლობის ზომები ისეთ ქმედებებთან დაკავშირებით, როგორიცაა გაზგასამართი სადგურის ფარული ექსპლუატაცია, ექსპლუატაციის წესების დარღვევა, ტექნიკური ინსპექტირების ჩაუტარებლობა, გაზგასამართ სადგურზე მომხდარი ავარიის, უბედური შემთხვევის შესახებ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსთვის შეუტყობინებლობა. აღნიშნული ქმედებისთვის ფულადი ჯარიმა 200 ლარიდან 2000 ლარის ფარგლებში წესდება – ქმედების სიმძიმის შესაბამისად.

ქუცნაშვილისთვის გაუგებარია, ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტთა სიას გაზგასამართი სადგური ემატება, მაშინ იგივე რატომ არ უნდა გავრცელდეს ბენზინგასამართ სადგურებზე.

„ხალხი კმაყოფილია იმით, რომ ბუნებრივი აირის გამოყენების შედეგად ტაქსის მომსახურება ბევრად გაიაფდა და გადაადგილება ბევრად გაადვილდა. ამიტომ დიდი სიფრთხილით ვუდგები შეზღუდვებს, მით უფრო საჯარიმო სანქციებს, რაც ხალხისთვის სასარგებლო სერვისზე ვრცელდება. თუკი ევროპული სტანდარტების შესაბამისად დასაბუთდება, რა ოდენობის ბუნებრივი აირის „ჩაჭირხვნა“ შეიძლება მოხდეს ავტომობილში, წარმოდგენილ ცვლილებებს სიამოვნებით დავუჭერ მხარს, მაგრამ, თუკი ეს ინიციატივა გამოყენებული იქნება იმისთვის, რომ მოქალაქეებს გაიაფებული ტრანსპორტი გაუძვირდეთ, ხოლო უსაფრთხოება ვერ იქნას მიღწეული, მე საკითხს მხარს არ დავუჭერ“, – განაცხადა ქუცნაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

# „ტრაქტორების სკანდალზე“ მინისტრი კირვალიძე გადადგა, გადადგება მინისტრი ალასანია?

## სად შეიძლება გადაკვეთილიყო „კულინარელად“ ცნობილ ალასანიასა და „მხედრიონელ“ „ზარალას“ გზები?



**ამ სკანდალის მერე მინისტრი დავით კირვალიძე გადადგა, თუმცა, მოგვიანებით, ბრალდებულებს ბრალი არ დაუმტკიცდათ... აი, ირაკლი ალასანია თავდაცვის მინისტრობიდან თუ გადადგება და დავით კირვალიძეს მიბაძავს, ურიგო ნამდვილად არ იქნება. მინიმუმ, გამოძიების დასრულებამდე**

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ თავდაცვის სამინისტროში კორუფციის საკმაოდ მსხვილი საქმე გახსნა და სამინისტროს მაღალჩინოსნები დააკავა. უწყების ინფორმაციით, მოქმედ თანამდებობის პირებს ბრალად ედებათ სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4 102 872 ლარის გაფლანგვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების საფუძველზე, მთავარი პროკურატურის მიერ დაკავებულნი არიან: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი გიზო ღლონტი, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის „ჯი-6“ კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი ნუგზარ კაიშაური, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი გიორგი ლობჟანიძე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი არჩილ ალავიძე და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის „ჯი-6“ კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი დავით წიფურია.

გამოძიების თანახმად, გიზო ღლონტმა, გიორგი ლობჟანიძემ, არჩილ ალავიძემ, ნუგზარ კაიშაურმა, დავით წიფურიამ და თავდაცვის სამინისტროს სხვა ხელმძღვანელმა პირებმა, 2013 წელს, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სს „სილქნეტის“ სასარგებლოდ გაფლანგეს სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4 102 872.6 ლარი. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ტენდერი, რომელშიც რამდენიმე ფირმა მონაწილეობდა. გამოძიება ამტკიცებს, რომ სამინისტროს ამ მაღალჩინოსნებმა, ტენდერში მონაწილე „სილქნეტის“ კონკურენტ კომპანიებს დაუმალეს სატენდერო ინფორმაცია, რაც მხოლოდ „სილქნეტის“ წარმომადგენლებს აცნობეს ფარულად, „სილქნეტი“ ჩააყენეს პრივილეგირებულ მდგომარეობაში, მისცეს საშუალება, თავდაცვის სამინისტროსთვის მისაღები ფასი შეეთავაზებინა და ტენდერიც ამიტომ მოიგო. ტენდერი ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის გაყვანასა და ქსელური აპარატურის შესაძენად გამოცხადდა. ჯერჯერობით ეს არის, რაც პროკურატურამ გაახმაურა. შესაძლოა, გამოძიება ამ დაკავებულ პირებზე არ გაჩერდეს და თავდაცვის სამინისტროს სხვა მაღალჩინოსნებსაც მისწვდეს. ძნელი დასაჯერებელია, რომ 4-მილიონიანი საქმე სამინისტროს უმაღლეს ეშელონებთან შეუთანხმებლად გაერისკათ.



**4-მილიონიანი ტენდერები თავდაცვის სამინისტროში მინიმუმ, მინისტრის მოადგილის კონტროლის გარეშე არ ტარდება და თუ ტარდება, ესეც უპასუხისმგებლობაა. ლოგიკურად კი, ამ ტენდერის საქმის კურსში მინისტრიც უნდა ყოფილიყო, რადგან მედიაში გავრცელებული მრავალი ინფორმაციის თანახმად, ირაკლი ალასანია სამინისტროში შესყიდვების სფეროზე სრულ კონტროლს ახორციელებს**

ამის შემდეგ თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი შესყიდვებს ახორცილებს საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით, რომ სამინისტროში არაერთი ნაბიჯი გადაიდგა, შესყიდვების სისტემის გამჭვირვალობისთვის და სატენდერო კომისიის სხდომებს, დამკვირვებლის სტატუსით არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც კი ესწრებიან. მოკლედ, თავდაცვის სამინისტრო საკუთარი თანამშრომლების დანაშაულს უარყოფს. მაშინ რა გამოდის? მთავარი პროკურატურა ტყუის? რაღაც მეეჭვება, რომ პროკურატურას 5 უდანაშაულო ადამიანისთვის წაეყენებინა ბრალი, საქმეში ისეთი ცნობილი კომპანია გაეხლართა, როგორიც „სილქნეტია“ და ირაკლი ალასანიას უწყებას უმიზეზოდ დასტაკებოდა.

თავის მხრივ, არც „სილქნეტმა“ დაიზარა და მანაც გააკეთა განცხადება, ცხადია, ამ განცხადებაში კომპანია სრულიად უდანაშაულოდ არის წარმოჩენილი, ჩვენაო, აცხადებენ „სილქნეტის“ მესვეურნი, ტენდერი იმიტომ მოვიგეთ, რომ მეორე ადგილზე გასულ კომპანიასთან შედარებით, 2 მილიონ 400 ათასზე მეტი შევთავაზეთ თავდაცვის სამინისტროს კონკრეტული მომსახურებისთვის, ვიდრე მეორე ადგილზე გასულმა კომპანიამ, ხოლო მესამე ადგილზე გასულ კომპანიასთან შედარებით 3 მილიონ 600 ათასი ლარით მეტიო. თქვე დალოცვილებო, პროკურატურა სწორედ იმას ედავება დაკავებულ მაღალჩინოსნებს, რომ თქვენ წინასწარ იცოდით სატენდერო პირობები და კონკურენტებზე უფრო მაღალი ფასი იმიტომ დააფიქსირეთ, თორემ ტენდერი პატიოსნად რომ ჩატარებულიყო, კაცმა არ იცის, რა მოხდებოდაო. ჰო, „სილქნეტი“ გამოძიებასთან ნებაყოფლობით თანამშრომლობაზე მზადყოფნასაც აცხადებს. არა, სხვა რაღა გზა დაგრჩენიათ? ნებით არ ითანამშრომლებთ და ძალით მოგიყვანენ დაკითხვაზე, ცხადია, თუ ეს გაკმარეს.

ამ ფაქტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა ქართულ მედიაში. ბევრი იმასაც ვარაუდობს, რომ უცხოეთში ვიზიტით მყოფი თავდაცვის მინისტრი, ირაკლი ალასანია ვიზიტს შეწყვეტს და საქართველოში დაბრუნდება. ალასანიას, ქართული არასამთავრობოების სახით, დამცველები გამოუჩნდნენ, ყველა მათგანი ამტკიცებს, რომ თავდაცვის სამინისტროში შესყიდვებს ნატო აკონტროლებს და შესაბამისად, გამორიცხულია, ამ სფეროში კორუფცია ყოფილიყო. ალასანიას ამ უფასო ადვოკატებს ვურჩევ, არ დაიზარონ, ინტერნეტით მოიძიონ ნატო-ს წევრობის კანდიდატ ქვეყნებში კი არა, ნატო-ს წევრი ქვეყნების თავდაცვის სამინისტროებში კორუფციის რამდენი ფაქტი გამოვლენილა, თუნდაც, შესყიდვების სფეროში. ნატო-ს დროშას ამოფარება ვერ უშველის ირაკლი ალასანიას.

ზოგიერთი აცხადებს, რომ თავდაცვის სამინისტროს ეს კორუფცი-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### შსს დანაშაულის სტატისტიკას აქვეყნებს

შსს-ს ცნობით, 2014 წლის სექტემბერში ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 2426 დანაშაული, აქედან 1619 გაიხსნა. დანაშაულის გახსნის პროცენტია – 66,74%. წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით, დანაშაულის პროცენტული კლებაა 12,45%.

2014 წლის იანვარ-სექტემბრის თვეებში რეგისტრირებულია 19787 დანაშაული, აქედან 12529 გაიხსნა. დანაშაულის გახსნის პროცენტია 63,32%. წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით, დანაშაულის პროცენტული კლებაა 16,55%.

მიმდინარე წლის სექტემბრის ჩათვლით, საქართველოში სიცოცხლის წინააღმდეგ ჩადენილი 512 დანაშაულის ფაქტი დაფიქსირდა. დაფიქსირებულია განზრახ მკვლელობის 61 შემთხვევა, დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის 15 შემთხვევა და მკვლელობის მცდელობის 80 ფაქტი. ასევე, გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, თვითმკვლელობამდე მიყვანის 271 შემთხვევა დაფიქსირდა. 512 დანაშაულიდან გახსნილია 156, მათ შორის 54 განზრახ მკვლელობის საქმე. ამ დანაშაულის კლება, გასულ წელთან შედარებით, 9,86%-ით შეინიშნება.

დაფიქსირდა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების 175 შემთხვევა (გაიხსნა 136), ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების 237 ფაქტი (გახსნილია 83), ოჯახური ძალადობის 362 ფაქტი (გაიხსნა 270), ასევე, ამ კატეგორიაში შემავალი სხვა სახის დანაშაულების 1616 შემთხვევა (გახსნილია 1044).



გარდა ამისა, 2014 წლის იანვარ-სექტემბერში რეგისტრირებულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნის 7 ფაქტი, საიდანაც 4 უკვე გაიხსნა, რაც შეეხება სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულს, ამ კატეგორიაში დაფიქსირებულია 99 შემთხვევა, საიდანაც 59 საქმე გახსნილია. კონკრეტულად, დანაშაულის ამ სახეობის ფარგლებში მოხდა გაუპატიურების 24 ფაქტი (გახსნილია 12), ასევე, ამავე კატეგორიაში შემავალ სხვა დანაშაულებზე ერთად რეგისტრირებულია 75 შემთხვევა (გაიხსნა 47).

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ დანაშაულის სახეობაში დაფიქსირებულია სულ კანონდარღვევების 239 ფაქტი, საიდანაც 136 საქმე გაიხსნა. აქედან მოხდა თავისუფლების უკანონო აღკვეთის 43 შემთხვევა (33 გახსნილია), მძევლად ხელში ჩაგდების 4 ფაქტი (2 გაიხსნა), მუქარის 82 შემთხვევა (49 გახსნილია), ამ კატეგორიაში შემავალ სხვა სახის დანაშაულის 110 ფაქტი (52 გაიხსნა). ტრეფიკინგი არ დაფიქსირებულა. ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ დანაშაულის კატეგორიაში რეგისტრირებულია 6 შემთხვევა, საიდანაც ჯერჯერობით არც ერთი არ გახსნილა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

### ვარკეთილში ბოროტმოქმედებმა ცოლ-ქმარი აწამეს




ვარკეთილში, მესამე მასივში ძარცვის მიზნით ბოროტმოქმედებმა ცოლ-ქმარი აწამეს.

არსებული ინფორმაციით, ნაცემი მამაკაცი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა და მას დამოუკიდებლად გადაადგილება უჭირს.

ასევე, გავრცელებული ინფორმაციით, ბოროტმოქმედებმა ქალბატონს თავი უნიტაზში ჩააყოფინეს და ასე ცდილობდნენ მისგან ნივთების თაობაზე ინფორმაციის მიღებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ფაქტზე გამოძიება ძარცვის მცდელობის მუხლით აღიძრა. როგორც უწყებაში განმარტავენ, მამაკაცი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი არ არის. ასევე, უარყოფენ ინფორმაციას, რომ მძარცველებმა ცოლ-ქმარი აწამეს. (ნიუპოსტი)

მეშვიდე გვერდიდან

ული სკანდალი, სოფლის მეურნეობის ე.წ. ტრაქტორების საქმეს აგონებს. „ტრაქტორების საქმეზე“, ასევე უკანონოდ მიჩნეული ტენდერის საფუძველზე საბიუჯეტო თანხების გაფლანგვაზე, რამდენიმე ადამიანი დაიჭირეს. ამ სკანდალის მერე მინისტრი დავით კირვალიძე გადადგა, თუმცა, მოგვიანებით, ბრალდებულებს ბრალი არ დაუმტკიცდათო და მიანიშნებენ – არც თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს დაუმტკიცდებათ ბრალი და ეგ „შეკერილი“ საქმეაო. „შეკერილია“ თუ დაბლანდული, ამას პროკურატურა და სასამართლო გაარკვევენ. აი, ირაკლი ალასანია თავდაცვის მინისტრობიდან თუ გადადგება და დავით კირვალიძეს მიჰბაძავს, ურიგო ნამდვილად არ იქნება. მინიმუმ, გამოძიების დასრულებამდე.

არასამთავრობო ორგანიზაცია, „ყველა თაობის“ წარმომადგენელი გია სალუქვაძე აცხადებს: „ეს არის საკმაოდ რთული საქმე და აქედან გამომდინარე შეუძლებელია მაღალჩინოსნების გარეშე მისი განხორციელება. ხელისუფლებას მოვუწოდებ, გამოიძიოს აღნიშნული საქმე, ეს იქნება ტესტი. შეუძლებელია, ეს დანაშაული არ სცოდნოდა მინისტრს და მის მოადგილეს. საუბარია მილიონიან ტენდერზე“.

საკმაოდ ლოგიკური ვარაუდია და თავში სწორედ ეს ვთქვი. 4-მილიონიანი ტენდერები თავდაცვის სამინისტროში მინიმუმ, მინისტრის მოადგილის კონტროლის გარეშე არ ტარდება და თუ ტარდება, ესეც უპასუხისმგებლობაა. ლოგიკურად კი, ამ ტენდერის საქმის კურსში მინისტრიც უნდა ყოფილიყო, რადგან მედიაში გავრცელებული მრავალი ინფორმაციის თანახმად, ირაკლი ალასანია სამინისტროში შესყიდვების სფეროზე სრულ კონტროლს ახორციელებს.

მოდით, გია სალუქვაძის ვარაუდს მივყვეთ და დავუშვათ, რომ ირაკლი ალასანიამ აუნთო მწვანე შუქი „სილქნეტს“. სად „სილქნეტი“ და სად ალასანია? – იკითხავს მავანი. ამ კითხვას კი ძალიან მარტივი პასუხი აქვს. „სილქნეტის“ მეპატრონე გიორგი რამიშვილია, იგივე „ზარალა“. მას ჩვენი საზოგადოება 90-იანი წლებიდან იცნობს, როგორც „ვერის საძმოსა“ და ამავდროულად, „მხედრიონის“ წევრს. ქართული მედია სავსეა მის შესახებ ინფორმაციებით. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „ვერის საძმოს“ ყოფილ წევრებს პირადად ვიცნობდი და კარგად ვიცი „ზარალას“ სისასტიკის კონკრეტული ფაქტები. მას სხვადასხვა დანაშაულებში სდებდნენ ბრალს და ამის გამო, არაერთხელ დაიჭირეს კიდეც, თუმცა, ციხეს მუდამ თავს აღწევდა. რამ გამახსენა „ვერის საძმო“? ახლავე მოგახსენებთ. მიცკევიჩის ქუჩელები ამბობენ, რომ ამავე 90-იან წლებში, ირაკლი ალასანია, მსგავსი საძმოს წევრი იყო – „კულინარიელებისა“. „ზარალას“ და ირაკლი ალასანიას გზები, შესაძლოა, სწორედ 90-იან წლებში გადაიკვეთა. თუ ამ კორუფციული ტენდერის საქმეში თავდაცვის მინისტრია გარეული, მაშინ, ამ ლოგიკით, სწორედ „ზარალა“ უნდა იყოს ამ საქმის მეორე ბოლოში, რადგან „სილქნეტი“ მისი კომპანიაა. გამოძიება გაარკვევს, მიუძღვის თუ არა რაიმე დანაშაული ირაკლი ალასანიას ამ საქმეში და იცოდა თუ არა მან დანაშაულებრივი ტენდერის შესახებ. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ალასანია რომ მაგარ შარში გაეხვია, ეს ფაქტია.

სილქნეტი
SILKNET
ყველაფერი კავშირშია

**„სილქნეტი“ 2010 წელს დაარსდა და მალევე, სააკაშვილის ხელისუფლების ხელშეწყობით, საკომუნიკაციო ბაზრის ერთ-ერთ ლიდერად იქცა. ყველაფერთან ერთად, ეს კომპანია „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკურ დაკვეთებსაც ასრულებდა... როცა სააკაშვილის რეჟიმი, უკვე აგონიაში მყოფი, ყველაფერს კადრულობდა და ყველა უკადრებელი საშუალებით ცდილობდა, განსხვავებული აზრი დაებლოკა, „სილქნეტმა“ საკაბელო-სატელევიზიო პაკეტიდან ტელეკომპანია „მაესტრო“ ამოიღო. „სილქნეტი“ სააკაშვილის რეჟიმის ხელში პოლიტიკური ოპოზიციისა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი იარაღი იყო...**

„სილქნეტი“ 2010 წელს დაარსდა და მალევე, სააკაშვილის ხელისუფლების ხელშეწყობით, საკომუნიკაციო ბაზრის ერთ-ერთ ლიდერად იქცა. ყველაფერთან ერთად, ეს კომპანია „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკურ დაკვეთებსაც ასრულებდა. 2011 წელს, როცა ქვეყანაში პოლიტიკურმა ბრძოლამ პიკს მიაღწია, როცა სააკაშვილის რეჟიმი, უკვე აგონიაში მყოფი, ყველაფერს კადრულობდა და ყველა უკადრებელი საშუალებით ცდილობდა, დაებლოკა განსხვავებული აზრი, „სილქნეტმა“ საკაბელო-სატელევიზიო პაკეტიდან ტელეკომპანია „მაესტრო“ ამოიღო. „სილქნეტი“ სააკაშვილის რეჟიმის ხელში პოლიტიკური ოპოზიციისა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი იარაღი იყო, ისევე, როგორც სხვა ბიზნესკომპანიები. ამ ყველაფრის შესახებ, ქართულ მედიაში არაერთი ინფორმაცია გამოქვეყნებულა.

„ზარალა“ – გიორგი რამიშვილი საქართველოში ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია. მის შესახებ ელექტრონულ მედიაში უამრავი ინფორმაცია მოიძებნება. ნავთობი, გაზი, სარკინიგზო გადაზიდვები, სატელეფონო და ინტერნეტსერვისი, საბანკო სექტორი, მშენებლობა, გაყინული ხორცი და ქათამი, ბრინჯი, შაქარი, სამშენებლო მასალები – ეს იმ ბიზნესების არასრული ჩამონათვალია, რასაც „ზარალა“ ფლობს საქართველოში. ყოფილ „მხედრიონელს“, „ნაციონალურ მოძრაობაში“, მისივე მეგობარი, ასევე, ყოფილი „მხედრიონელი“ ნიკა რურუა მფარველობდა, თუმცა „ზარალა“ არც სააკაშვილისგან უჩიოდა უყურადღებობას. გიორგი რამიშვილის სახელი ნავთობკომპანია „სილქროუდ გრუპს“ უკავშირდება, რომელიც 1998 წელს დაფუძნდა. „სილქროუდ გრუპის“ შემადგენლობაში შედის „სილქნეტი“, „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“, „რადისონ ბლუ ივერია“ (თბილისში), „რადისონი“ (ბათუმში), „ბი თი ეი ბანკი“, წინანდლის კომპლექსი და საინვესტიციო კომპანია „დი ესი“. ამ კომპანიის მიერ საქართველოში განხორციელებული პროექტებია: ტურისტული კომპლექსი ქობულეთში, საცხოვრებელი და სასტუმრო კომპლექსი ქობულეთში, ბათუმში, ჩაქვში, ციხისძირსა და მწვანე კონცხზე. ასევე, საცხოვრებელი კომპლექსი „საქანელა“ თბილისში. მიუხედავად იმისა, რომ „ზარალას“ ნიკა რურუა და უშუალოდ, სააკაშვილი მფარველობდნენ, 2005 წლის მაისში, „ზარალა“ საკუთარ სახლში დააპატიმრეს. გავრცელებული ინფორმაციით, ბრალდების სახით ორი მუხლი – იარაღის უკანონო ტარება და გადასახადებისგან



**ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „ვერის საძმოს“ ყოფილ წევრებს პირადად ვიცნობდი და კარგად ვიცი, „ზარალას“ სისასტიკის კონკრეტული ფაქტები. მას სხვადასხვა დანაშაულებში სდებდნენ ბრალს და ამის გამო, არაერთხელ დაიჭირეს კიდეც, თუმცა, ციხეს მუდამ თავს აღწევდა. რამ გამახსენა „ვერის საძმო“? ახლავე მოგახსენებთ. მიცკევიჩის ქუჩელები ამბობენ, რომ ამავე 90-იან წლებში, ირაკლი ალასანია, მსგავსი საძმოს წევრი იყო – „კულინარიელებისა“**

თავის არიდება წაუყენეს, მაგრამ აღარ გაასამართლეს და მალევე გაათავისუფლეს. ამ ამბიდან სამი წლის თავზე, 2008 წელს ჯერ „ზარალას“ მეგობარი ლევან კაჭარავა, იგივე „ტილიკა“ დააკავეს აეროპორტში, რამდენიმე დღეში კი „ზარალაც“ ზედ მიაყოლეს. ოღონდ, არც „ტილიკას“ და არც „ზარალას“ დაპატიმრება სამართალდამცავებს ოფიციალურად არ გაუხმაურებიათ. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა, რადგან „ტილიკამ“ თავისუფლების სანაცვლოდ, საკუთარი წილი „თბილისის წყალში“, პრეზიდენტთან დაახლოებული ბიზნესმენების შარანგიების სასარგებლოდ დათმო. უცნობია, კონკრეტულად რა წილი, მაგრამ ფაქტია, რომ ამ დაკავების შემდეგ, სრულიად მოულოდნელად, ყაზახებმა საქართველოში საკუთარი წარმომადგენლობა, ანუ „სილქროუდ გრუპი“ გააუქმეს. იმ პერიოდში, „სილქროუდ გრუპს“, კონკრეტულად „ზარალას“, თბილისში „ტრამპ-თაუერი“ უნდა აეშენებინა. მართალია, მაშინ სააკაშვილისა და დონალდ ტრამპის შეხვედრის დეტალები მედიამ აქტიურად გააშუქა, მაგრამ სინამდვილეში, ტრამპს საქართველოში ინვესტიციის სახით, ცენტიც არ ჩაუდია. რეალურად, საქართველოს ხელისუფლებამ დონალდ ტრამპისგან მხოლოდ ბრენდის სახელი შეიძინა, რათა დასრულებული ობიექტისთვის სახელი „ტრამპი“ მიენიჭებინათ და ეს ქართულ მხარეს მილიონობით აშშ დოლარი დაუჯდა და გავრცელებული ინფორმაციით, ეს თანხა სწორედ „ზარალამ“ გადაიხადა.

„ზარალა“, რომელსაც მრავალი ადამიანი უამრავ დანაშაულში სდებს ბრალს, სააკაშვილის დროს გამდიდრდა და მისი კომპანიები უპრობლემოდ იგებდნენ სახელმწიფო ტენდერებსა და აუქციონებს. ირაკლი ალასანია სააკაშვილის რეჟიმს დანაშაულებრივს ეძახდა, მას და მის თანაგუნდელებს, ასეთი უკანონო ტენდერებისა და აუქციონების არაერთი ფაქტი გაუხმაურებიათ. ხელისუფლება შეიცვალა და ისევ ის ბიზნესმენები „გრიალებენ“, ისევ ის ბიზნესმენები იგებენ მრავალმილიონიან ტენდერებს, ვინც ბიუჯეტი გამოხრა, ვინც სააკაშვილის ლაქიად და ხელის ბიჭად იყო გადაქცეული, ვინც „ნაცმოძრაობას“ აფინანსებდა და ამ ფულს ხალხის ჯიბიდან იღებდა, ყველაფერს, პროდუქციას თუ მომსახურებას უძვირებდა. იმის ნაცვლად, რომ დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლნი, ირაკლი ალასანიას ჩათვლით, „ზარალას“ ბიზნესკომპანიების წარსული საქმიანობის შესწავლას ითხოვდნენ, მისი კომპანიების მიერ საეჭვოდ მოგებული ტენდერების გამოძიებისკენ მოუწოდებდნენ სამართალდამცავებს, დღეს „ზარალას“ კომპანია, არც მეტი და არც ნაკლები, თავდაცვის სამინისტროს ტენდერში მონაწილეობს და თანაც იგებს.

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...



## პუტინის რეიტინგი წელს პირველად შემცირდა

რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის რეიტინგი წელს პირველად შემცირდა. მოსკოვში დაფუძნებული ინსტიტუტის, „ლევადა-ცენტრის“ მონაცემებით, აგვისტოში პუტინის პოპულარობამ პიკს მიაღწია, გამოკითხულთა 57% მზად იყო, საპრეზიდენტო არჩევნებში მისთვის მიეცა ხმა, სექტემბერში ასეთ მხარდამჭერთა რიცხვი 49%-მდე შემცირდა. 2014 წლის იანვარში უკრაინაში ხელისუფლების შეცვლამდე პუტინის რეიტინგი 29%-ს შეადგენდა.

სახელმწიფოს მეთაურის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა „ლევადა-ცენტრის“ გამოკითხვის შედეგების კომენტირებისას განაცხადა, რომ პუტინის რეიტინგის მერყეობა კრემლში ბუნებრივ პროცესად მიაჩნიათ და მას დიდ ყურადღებას არ უთმობენ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „საქართველოში ებოლას ვირუსის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა“



ჯანდაცვის მინისტრის, დავით სერგეენკოს განცხადებით, „საქართველოში ებოლას ვირუსის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა“.

მისი თქმით, ამ ეტაპზე ნიგერიელებზე დაკვირვება არ მიმდინარეობს, რადგან მათი ქვეყანა მაღალი რისკის შემცველი სახელმწიფოების სიიდან ამოღებულია.

„საქართველოში ებოლას არც ერთი შემთხვევა არაა დადასტურებული. მიმდინარეობს მაღალი დონის სწავლება. რამდენიმე ბოქსირებული პალატა აღიჭურვება და ასევე, გვაქვს ზოგადი სამოქმედო გეგმა, რომელიც, იმედია, არ დაგვჭირდება, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ამუშავდება“, – განაცხადა სერგეენკომ. (ნიუპოსტი)



## ხელვაჩაურში საწყობი დაიწვა

ხელვაჩაურში, საღებავების საწყობში გაჩენილი ხანძარი ლოკალიზებულია. აჭარის სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსის ხუსეინ სირაბიძის განცხადებით, ხანძრის გამომწვევი მიზეზები ჯერ უცნობია. ხანძრის ლიკვიდირებაზე 8 სახანძრო ბრიგადა მუშაობდა.

„დიდი რაოდენობით საღებავები და გამხსნელები იყო საწყობში. საწყობი ირანის მოქალაქეს ეკუთვნის. თუ რა იყო აალების მიზეზი და რამდენია ზარალი, ეს მოგვიანებით გაირკვევა“, – აღნიშნა სირაბიძემ.

საწყობში ხანძარი დაახლოებით 300 კვადრატულ მეტრზე გაჩნდა. ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა. (რეპორტიორი)

# რას შეცვლის 28 ოქტომბერი პრეზიდენტ მარგველაშვილის, პრემიერ ღარიბაშვილის და მინისტრ ალასანიასთვის

## რა უნდა გააკეთოს უშიშროების საბჭომ...

გახდება თუ არა 28 ოქტომბერი პრემიერისა და პრეზიდენტის დიდი შერიგების დღე, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. თუმცა ფაქტია, პოლიტიკურ კალენდარზე მნიშვნელოვანი თარიღი შემოიხაზა, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში მივიდა და უშიშროების საბჭოს სხდომას დაესწრო. სწორედ მათი კინკლაობა გახდა მიზეზი იმისა, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ აიშვა და ბედავს რევოლუციური იდეების ქადაგებას. უშიშროების საბჭოს სხდომა უმნიშვნელოვანეს საკითხს მიეძღვნა, რუსეთსა და აფხაზეთს შორის მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ შეთანხმების პროექტი ართულებს აფხაზეთის დაბრუნების პერსპექტივას. მაგრამ საქმე ისაა, რამდენად შეძლებს ხელისუფლება უშიშროების საბჭოს ფორმატში არ დატოვოს ეს საკითხი და იყოს თანმიმდევრული იქ დაანონსებული განცხადებების მიმართ. დღეს „ნაციონალურ მოძრაობას“ არ უნდა მიეცეს საშუალება, ამ თემით ისპეკულანტოს და რუსთაველზე 15 ნოემბერს პატრიოტიზმის ნიღაბს ამოფარებულმა აქციები ჩაგვიტაროს. 9 წლის მანძილზე ხელისუფლება მათ ხელში იყო და შეძლეს ის, რომ ტერიტორიების 20% დაგვაკარგვინეს.

28 ოქტომბერს ასევე მნიშვნელოვანი დღე იქნება თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიასთვის. ჯერ კიდევ ერთი თვის წინ, გაზეთ „კვირის ქრონიკასთან“ ინტერვიუში ყოფილი პარლამენტარი ვალერი გელბახიანი აცხადებდა, რომ თავდაცვის სამინისტროში შესულია ფინანსური პოლიცია, რომელიც სწავლობს ტენდერების საკითხს, მან გამოთქვა გონივრული ეჭვი, რომ ალასანიას უარეს შემთხვევაში დააპატიმრებდნენ, მისი უწყების მაღალი თანამდებობის პირები პასუხისგებაში მიეცემოდნენ, რადგან გაფლანგულია მილიონები. რა თქმა უნდა, ირაკლი ალასანიას დაპატიმრება პოლიტიკური სიგიჟე იქნება, რადგან მას აქტიურად ლობირებს დასავლეთი და თუკი ალასანიას ზედმეტად ხელს ვინმე შეახებს, ეს აღიქმება როგორც დასავლური პრინციპების უარყოფა და მეტად გამყარდება ეჭვი, რომ ქვეყანას რუსული ძალა მართავს. ერთადერთი, რაც შეიძლება მოხდეს, არის ის, რომ ალასანიამ თავისი ნებით დატოვოს პოსტი, შესაძლოა, ეს ნაბიჯიც არ გადადგას.

**28 ოქტომბრის პოლიტიკურ პანორამას „ალიასთან“ ერთად განიხილავს ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი:**

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ უშიშროების საბჭოს სხდომაზე პრემიერის დასწრება განაპირობა „ნაციონალური მოძრაობის“ გააქტიურებამ და იმ რეალურმა საფრთხემ, რაც შეიძლება 15 ნოემბრიდან ქვეყანაში დაიწყოს?**

– რომ არა დოკუმენტი, რომელიც რუსეთმა ხელმოსაწერად შესთავაზა აფხაზეთს, შესაძლოა, ჩვენ კიდევ დიდხანს ვყოფილიყავით გაუგებრობაში და ხელისუფლების სხვადასხვა შტოების ურთიერთობის გარკვევაში. ყინული დაიძრა, ახლა მთავარია, ყოველი ახალი კანონის მიღების წინ კვლავ არ იყოს ზეწოლა იმაზე, რომ ჩვენი საზოგადოების ნაწილი ითხოვდეს ვეტოს პრეზიდენტისგან, ხელისუფლება კი ითხოვდეს კანონზე ხელმოწერას.

ვერ ვხედავ, რომ რაიმე საინტერესო წინადადება ჰქონდეთ მოფიქრებული აფხაზეთის მოსახლეობისთვის. ჩვენმა მუდმივად უსუსურმა ხელისუფლებამ ვერაფერი მოიფიქრა, გარდა ერთისა, რომ მიელო ერთადერთი კანონი, რასაც ჰქვია კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. ტერმინი „სეპარატიზმი“ დაიკარგა, ამიტომ დაბნეულია ჩვენი დასავლელი მეგობრების დიდი ნაწილი, ამისთანა როგორი ოკუპანტები არიან რუსები, რომ ამ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები არც ერთი ადამიანი პროტესტს არ გამოთქვამს ოკუპანტის წინააღმდეგ. ვიდრე ჩვენ დასავლეთს არ გავაგებინეთ, რომ ეს არის სეპარატიზმის საფუძველზე ოკუპირებული და დიდი ალბათობით ახლა უკვე ძალიან მალე ანექსირებული ტერიტორია საქართველოსი, მაშინ ყველა მიხვდება, რაშია საქმე და ჩვენს ხელისუფლებას აღარ გაუჭირდება იმის მტკიცება, რომ რუსები მხოლოდ ბოროტებას თუ ჩაიდენენ აწი აფხაზეთის მოსახლეობის მისამართით.

**— როგორ ფიქრობთ, რამდენად დროული იყო პრემიერის მიერ აფხაზი და ოსი ხალხისთვის საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში ავტონომიის შეთავაზება?**

– ამ ვითარებაში იმის შეთავაზება, რომ მოდი ჩემთან, გენაცვალე, დავივიწყოთ რაც იყო, რომც დაბრუნდეს იმ სტატუსში აფხაზეთი, რისგანაც თავი დაიხსნა, ვფიქრობ, ეს შეიძლება შეფასდეს როგორც მიპატიჟება წარსულში. ეს პროგრესის მკაფიო მაჩვენებელი არ არის აფხაზეთისთვის. ვწუხვარ, რომ არც ერთ სახელმწიფო ორგანოს აზრადაც არ მოსვლია, ერთ გვერდზე მაინც აკრიფონ ისეთი სტრიქონები, რომლის ადრესატიც აფხაზეთის თითოეული მოქალაქე იქნება, რომელიც იქ ცხოვრობს. იმათაც გული სწყდებათ, რომ ქართველებს აფხაზეთის მიმართ აქვთ დამოკიდებულება, როგორც ოკუპირებულ ტერიტორიასთან. იმ შემთხვევაში, თუ გადადგამდნენ ნაბიჯს კეთილმეზობლობისკენ, აფხაზთა ნაწილისთვის მაინც რომ ეთქმევინებინათ, მოდით, დავფიქრდეთ, ნუ ვიჩქარებთ ხელმოწერას რუსეთთან, ეს რატომღაც არ ხდება. მიზნად უნდა დავისახოთ კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა, რადგან კეთილმეზობლობის გარეშე, არანაირ პოლიტიკურ სტრუქტურას აზრი არ აქვს. თუ ჩვენ კეთილმეზობლურ ურთიერთობებს არ აღვადგენთ და ეს არ იქნება ჩვენი მთავარი მიზანი, ავტონომიის შეთავაზებით კვლავ გაუგებრობაში ჩავაგდებთ აფხაზებს.

შეიძლება დღეს უადგილო იყოს იმის თქმა, რასაც ახლა თქვენთან ინტერვიუში ვაპირებ, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა, არ გაგვეწბილებინა ჩვენი აფხაზი თანამემამულენი და ერთ დონეზე არ განგვეხილა ცხინვალისა და აფხაზეთის საკითხი. აფხაზეთი არის აფხაზების, ასე იყო, ასე იქნება, ხოლო ოსეთი გვეგულება რუსეთის ტერიტორიაზე და როდესაც ამდენი წლის განმავლობაში ტყუპისცალებად წარმოვადგენთ მთელ მსოფლიოში სოხუმსა და ცხინვალს, ამით, რასაკვირველია, სრულ გაუგებრობაში ვაგდებთ აფხაზებს და მეტი საფრთხე წარმოიქმნება ცხინვალის რეგიონის სახით, შეიძლება დღევანდელმა ხელისუფლებამ ისიც არ იცის, რომ ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც ხელმოწერილია რუსეთისა და საქართველოს უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ, ეხებოდა სამხრეთ ოსეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების შეყვანას, რომელიც ხელმოწერილია 1992 წლის ივნისში, სოჭში. 4-გვერდიან დოკუმენტში ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ საერთოდ არ ფიგურირებს, საქართველოს იმდროინდელმა პრეზიდენტებმა შესაძლებლად ჩათვალეს, რომ ტერმინი „ცხინვალის რეგიონი“ ყოფილიყო საკმარისი დამახასიათებლად იმ ტერიტორიისა, რომელზეც ახლა ჩვენ ვსაუბრობთ. ამიტომ ჩვენი მთელი ენერგია და რესურსი უნდა მივმართოთ კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენისკენ, წარმოგვიდგინონ პროექტები, რომელ სამინისტროს რა რესურსი აქვს, მივცეთ აფხაზებს მეტი სიკეთე, ვიდრე რუსეთისგან არის მოსალოდნელი აფხაზებისთვის.

რუსეთს სურს, რომ ერთ ქვაბში მოხარშოს ყველა და ყველაფერი. ჩემი ერთი ნაცნობისთვის თავად პუტინს აქვს ნათქვამი, რომ საკუთარი თავის ტკივილი საკმარისზე მეტი ჰქონდა მას ჩრდილო ოსეთის სახით და ზედმეტი თავის ტკივილი არ სჭირდებოდა სამხრეთ ოსეთის სახით, მაგრამ ეს უკვე იმდენი წლის წინათ ითქვა, რომ ასეთი განცხადების გულწრფელობაში, ცხადია, დარწმუნებული ვერ ვიქნებით.

შემთხვევითი არ იყო, რომ ერთმა გამოცდილმა დიპლომატმა, არაქართველმა, სოჭის მოლაპარაკების დროს შეძლო რუსეთიდან ჩამოტანილი ტექსტი გაერანდა ისე, რომ იქ ნახსენები არ ყოფილიყო სამხრეთ ოსეთი. ჩვენ ეს არათუ გამოვიყენეთ, არამედ დადის ხმები, რომ საერთოდ, ამ დოკუმენტის ასლი საქართველოში საერთოდ არ არის. ამ დოკუმენტის გაქრობა აჩენს საფრთხეს, რადგან იმ შემოთავაზებულ ვარიანტში რუსეთის სამშვიდობო ძალების განლაგება იყო ბევრად უფრო დიდ ტერიტორიაზე, იქვე შეიცვალა დასახელებები სოფლების, შევიწროვდა ეს ზოლი, არ გამოვრიცხავ საფრთხეს, თუ რუსეთმა მოახერხა, რომ ეს დოკუმენტი საქართველოში აღარ არის, არ არის გამორიცხული, ერთხელაც გადაგვიშალოს წინ ის ვარიანტი, რაც მოსკოვიდან ჩამოიტანა იმ დიპლომატმა. აი, ასეთი საკითხებია გასარკვევი უშიშროების საბჭოს მიერ.

**— 28 ოქტომბერს უშიშროების საბჭოს სხდომას წინ უძღოდა ირაკლი ალასანიას უწყების მაღალჩინოსნების დაკავება, როგორ განვითარდება, თქვენი აზრით, მოვლენები, ალასანიას მინიმუმ თანამდებობას დაატოვებინებენ?**

– არ ვარ დარწმუნებული, რომ ისეთ დიდ უწყებაში, როგორიც თავდაცვის სამინისტროა, რაიმე ტიპის ტენდერები წყდებოდეს მინისტრის დონეზე. ამისთვის არსებობს შესაბამისი სამსახურები. ამ დაკავებებს არ დავაკავშირებდი ირაკლი ალასანიასთან, არ მგონია, რომ მის პოლიტიკურ კარიერაზე ამან რაიმე ფორმით იქონიოს გავლენა.



»»» ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...




### ბათუმში „ნაცმოძრაობის“ ოფისთან ფიზიკური დაპირისპირება მოხდა

ბათუმში, მემედ აბაშიძის ქუჩაზე, „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისთან, სადაც აქციას მართავდნენ პოლიტპატიმრის სტატუსით განთავისუფლებული პირები, სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.

პოლიტპატიმრის სტატუსით განთავისუფლებულმა პირებმა თავდაპირველად განცხადებები გააკეთეს, სადაც აღნიშნავდნენ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმი უნდა გასამართლდეს: „არ დავუშვებთ სისხლიანი რეჟიმის დაბრუნებას“, – აცხადებდნენ პოლიტპატიმრები.

„ნაციონალური მოძრაობის“ ოფისიდან პარტიის წევრები გამოვიდნენ და აქციის მიმდინარეობას თვალყურს ადევნებდნენ. პოლიტპატიმრის სტატუსით განთავისუფლებულ პირებსა და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს შორის ჯერ სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა, რაც შემდეგ ფიზიკურში გადაიზარდა. სიტუაცია სამართალდამცველი ორგანოების მოსვლამდე განიმუხტა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### „ალასანია იყო ივანიშვილის ეჭვიანობის ერთ-ერთი სამიზნე“



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრის გიგა ბოკერიას აზრით, ალასანიას უწყების მაღალჩინოსნების დაკავება კორუფციის ბრალდებით აძლიერებს ეჭვს, რომ ალასანია ივანიშვილის ეჭვიანობის სამიზნეა:

„ჩვენ ვხედავთ ბოლო ორი წლის განმავლობაში, რომ ივანიშვილისა და მისი გუნდის ამოცანა იყო პოლიტიკური ოპონენტების დევნა, სამართალდამცავი ორგანოების გამოყენება იმისთვის, რომ ოლიგარქმა გაიხანგრძლივოს ხელისუფლებაში ყოფნა, ცხადად ჩანს ნეპოტიზმისა და კორუფციის ფაქტები. ამ პირობებში ხდება დაკავება 5 პირის კორუფციის ბრალდებით და ამის ხმამაღალი პროპაგანდირება.

ოლიგარქ ივანიშვილს აქვს შეთქმულების თეორიებისკენ მიდრეკილება, ელანდება მტრები და მოღალატეები ყველგან, ალასანია იყო ივანიშვილის ეჭვიანობის ერთ-ერთი სამიზნე. ეს ყველაფერი აძლიერებს ეჭვებს, რომ კორუფციასთან ბრძოლასთან ნამდვილად არ გვაქვს საქმე, არამედ საქმე გვაქვს პოლიტიკურ ინტრიგასთან, რისთვისაც სამართალდამცავი სტრუქტურების გამოყენება ხდება, რაც ძალიან სახიფათოა“. – აღნიშნავს ბოკერია. (ნიუპოსტი)

# ექსკლუზივი პარლამენტის განათლების კომიტეტში მომხდარ დაპირისპირებაზე




**28 ოქტომბერს განათლებისა და მეცნიერების კომიტეტში, ცოტაც და, კინაღამ ხელით შეეხნენ ერთმანეთს: მასწავლებელთა სერტიფიცირების ალტერნატიულ მოდელთან დაკავშირებით განათლების სამინისტრო და კომიტეტი ერთიან პოზიციაზე შეჯერებას ვერ ახერხებენ. კომიტეტისთვის მიუღებელია მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის შესახებ სამინისტროს მიერ შეთავაზებული სქემა. შენიშვნები აქვს კომიტეტის თავმჯდომარე ვანო კიღურაძეს, რომელმაც ალტერნატიული კანონპროექტი წარადგინა. კამათი იმაზე მიდიოდა, მასწავლებელთა დაწინაურება და პროფესიული წინსვლა მათთვის სტატუსების მინიჭებით მოხდეს, თუ შესაბამისი თანამდებობები შემოიღონ.**

**სამინისტროს პროექტის მიხედვით, მასწავლებლებს სტატუსი კომპეტენციისა და საქმიანობის შედეგების შეფასების მიხედვით მიენიჭებათ. კიღურაძე კი მოითხოვს, რომ სკოლებში შემოღებული იყოს მასწავლებლის, უფროსი მასწავლებლისა და წამყვანი მასწავლებლის თანამდებობები, რომლებზეც კონკურსის წესით დაინიშნებიან. მოკლედ, ორსაათიანი დებატების შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ, რომ საკითხი მსჯელობის საგანი უმრავლესობის ფორმატში გახდება და ამის შემდეგ მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომელ კანონპროექტს დაუჭერს მხარს პარლამენტი.**

**სიტყვიერი დაპირისპირება კომიტეტის წევრ ზაზა პაპუაშვილსა და განათლების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის „პედაგოგთან საკონსულტაციო ცენტრის“ წარმომადგენელ ტარას შავშიშვილს შორის მოხდა. სხდომის დასასრულს შავშიშვილმა კომიტეტის თავმჯდომარეს, ივანე კიღურაძეს ორი კითხვის დასმის უფლება სთხოვა, რამაც ზაზა პაპუაშვილის გაღიზიანება გამოიწვია. მან შავშიშვილს დარბაზის დატოვება მოსთხოვა. პაპუაშვილის თქმით, მაშინ როდესაც კომიტეტი ასეთ სერიოზულ საკითხზე მსჯელობს, არავის აქვს უფლება, ის ჩაშალოს. მან შავშიშვილსა და მისი ორგანიზაციის სხვა წარმომადგენლებს, რომლებიც ასევე ესწრებოდნენ სხდომას, პროვოკატორები უწოდა. მან გაიხსენა, რომ ტარას შავშიშვილი არის სკოლის ყოფილი დირექტორი, რომელმაც არასრულწლოვანი გარიცხა სკოლიდან, რასაც მაშინ გახმაურებული სასამართლო პროცესები მოჰყვა.**

**„ალიას“ ესაუბრება განათლების კომიტეტის წევრი გუგული მაღრაძე:**

– ჯერ სანამ სხდომაზე დატრიალებულ ამბებზე გადავიდოდე, მოკლედ გეტყვით საკითხის არსს: მასწავლებელთა სერტიფიცირება უნდა მოხდეს და მასწავლებელს უნდა მიენიჭოთ სტატუსი: ოთხი სხვადასხვა სტატუსი აქვს სამინისტროს დასახელებული, პრაქტიკოსი მასწავლებლიდან დაწყებული – მენტორით დამთავრებული და ამ სტატუსზე იქნება დამოკიდებული მასწავლებლების ანაზღაურება, ხოლო სტატუსს განსაზღვრავს სპეციალური სახელმწიფო კომისია, რომელიც ცენტრალიზებული იქნება, მაგრამ მასში ჩართული იქნებიან ასევე სკოლებიც, რადგანაც გარკვეულ ინფორმაციას სწორედ სკოლები მიაწვდიან კომისიას მასწავლებლის შესახებ. ასევე, იქნება ობიექტური გამოცდები, რომელიც უნდა გაიაროს საგნის მასწავლებელმა, ასევე პედაგოგები უნარებზეც შემოწმდებიან. ამის გარდა, სახელმწიფო მასწავლებლებს მოსამზადებლად უფასო ტრენინგს სთავაზობს და ესაა ის ცვლილებები, რომელიც სამინისტრომ მოამზადა.

კომიტეტს მიაჩნია, რომ ასეთი ოთხი გაყოფა მასწავლებლების კატეგორიისა არის რთული, მასწავლებლისთვის წოდებრივი დაყოფა მიუღებელია კომიტეტის თავმჯდომარის, ვანო კიღურაძისთვის, რომლის შეფასებითაც, იმ ფონზე, როცა ერთსაფეხურიანი სასერტიფიკაციო გამოცდა 62 ათასი მასწავლებლიდან მხოლოდ 20 ათასმა ჩააბარა, 4-საფეხურიანი სერტიფიცირების სქემა ვითარებას კიდევ უფრო გაართულებს და ჩიხში შეიყვანს. კომიტეტს მიაჩნია, რომ მასწავლებელი უნდა იყოს თანამდებობა, რომელიც ოთხი წლით აირჩევა, სკოლებში შემოღებული უნდა იყოს მასწავლებლის, უფროსი მასწავლებლისა და წამყვანი მასწავლებლის თანამდებობები, რომელთა დაკავებაც კონკურსით მოხდება, აქედან გამომდინარე, სკოლამ და დირექტორმა უნდა გადაწყვიტოს მათი არჩევა. მოკლედ, ამაზე მიდიოდა მსჯელობა. სხდომას ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის იყო 53-ე საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი ტარას შავშიშვილი და კიდევ რამდენიმე პირი, რომლებსაც უნდოდათ დისკუსიაში შემოსვლა, მაგრამ თავმჯდომარემ თქვა, რომ დღეს დისკუსიის დრო არ არის. კი, ბატონო, სხდომა ღიაა, მოისმინეთ, დაესწარით, ინფორმაცია მიიღეთ, მაგრამ სადისკუსიო დრო არ არის, რადგანაც თავად კომიტეტს არ შეუჯერებია ჯერ თავისი პოზიციებიო და ამან გამოიწვია ეს ხმაური და შეხლა-შემოხლა.

**— როგორც ცნობილი გახდა, თქვენ გააძევეთ შავშიშვილი სხდომიდან.**

– გავაძევეთ, მაგრამ კენჭისყრა ვერ მოვახერხეთ, რადგანაც ჩავთვალეთ, რომ ალტერნატიული კანონპროექტი დღეს იყო შემოტანილი, სამინისტრო დიდი ხანია, მუშაობს ამ კანონზე, რომ ის სტატუსები, რაც მას დადგენილი აქვს, იქ ბიუჯეტია გათვალისწინებული და ახლა უცებ გამოჩნდა ახალი პროექტი და ძალიან ძნელია, მას უყარო კენჭი, ამიტომ გადავდეთ რამდენიმე დღით, რომ კარგად გააცნობიეროს თითოეულმა წევრმა და ამის მიხედვით ეყრება ცვლილებებს კენჭი, პლენარული იმსჯელებს და თავის გადაწყვეტილებას მიიღებს. ალტერნატიული შემოიტანა თავად კომიტეტმა. ჯერჯერობით ყველა ვფიქრობთ ახალ ალტერნატივაზე, გადამოწმება სჭირდება ამას. ვანო კიღურაძემ განაცხადა, რომ ვარ ის ადამიანი, რომელიც არავის ვახვევ ჩემს აზრს, ყველამ იფიქროს და ისე მიიღოს გადაწყვეტილებაო, ვერ დავუკარგავთ, ეს ნამდვილად განაცხადა, ან შეიძლება, ამ წინადადებების შეჩერება მოხდეს, არ ვიცით. შემდეგ კვირაშია კომიტეტის სხდომა, სამშაბათს და იქ გადაწყდება საკითხი.

**მაია კობახიძე, განათლების პროფკავშირების თავმჯდომარე:**

– სამინისტროს მიერ შემუშავებული სქემის პრინციპულ საკითხებს ვეთანხმები. რაც შეეხება ვანო კიღურაძის მიერ შემოთავაზებულ ალტერნატიული სქემის პროექტს, სამინისტროში ერთი წლის მანძილზე მუშავდება პედაგოგის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის პროექტი. ეს პროექტი ამ ხნის მანძილზე გადიოდა ფილტრს, ესაა საერთაშორისო და ქართველი ექსპერტები, ჩართულები ვიყავით პროფკავშირები, არასამთავრობოები, შეგვქონდა წინადადებები და ამის მიხედვით ხდებოდა სქემის დახვეწა. ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია და ეს სიურპრიზს უფრო ჰგავს, სხდომაზე რა ტიპის პროექტიც წარმოადგინა განათლების კომიტეტმა, რადგანაც ეს აქამდე არ ყოფილა გასაჯაროებული. ჩემთვის ზედაპირულად ერთი საკითხია ცნობილი, ის ითვალისწინებს მასწავლებლების თანამდებობებს და ესაა კათედრის გამგეობა. სკოლაში არის მაქსიმუმ 9 კათედრა, და დავუშვათ, 9 მასწავლებელი მიაღწევს კათედრის გამგეობას, მაშინ რა ბედი ელის დანარჩენ 100 მასწავლებელს? ახალ პროექტში გაუთვალისწინებელია მასწავლებლის პროფესიული განვითარება, რადგანაც თუ იქ არ დევს მასწავლებლისთვის და სახელმწიფოსთვის ერთდროულად პროფესიული განვითარებისთვის და პედაგოგის პროფესიული განვითარებისთვის ხელშეწყობა, მაშინ ასეთი სქემა განვითარების ხარისხზე უარყოფითად იმოქმედებს.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ ძირითადად სამინისტროს ეთანხმებით და რატომ არ ითვალისწინებს სამინისტრო სასერტიფიკაციო გამოცდების გაუქმებას?**

– საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება, ანუ საგნობრივი გამოცდის ჩაბარება ევალება მხოლოდ მესამე კატეგორიის პრაქტიკოს მასწავლებელს, სხვა კატეგორიებზე მასწავლებელი გამოცდებს არ აბარებს, ის აგროვებს კრედიტებს და მის მიხედვით იმაღლებს კატეგორიას.

**— კრედიტების მინიჭების სისტემა მნიშვნელოვანია და ვინ შეაფასებს ამას?**

– ამაზე უნდა იმუშაოს სახელმწიფო კომისიამ, სადაც პროფკავშირები ვიქნებით ჩართული, იქნებიან პარლამენტისა და სამინისტროს წარმომადგენლები, ასევე, საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებიც, ასე რომ, შედეგი ობიექტური იქნება.

**დავით ლაგვილავა, „მასწავლებელთა ალიანსი“.**

– მე ვესწრებოდი ამ სხდომას და ძალიან ცუდი რამე ხდება: სანიკიძე ცდილობს, გააპაროს ის ყველაზე სახიფათო მომენტები, რაც სქემაშია ასახული. სქემა კი ამ წუთას არავინ არ იცის და კომიტეტის წევრებმა კენჭი უნდა უყარონ ისეთ დოკუმენტს, რომელსაც არ იცნობენ. მე კი ვიცი ეს დოკუმენტი, სადაც შემდეგი რისკებია: თუ ეს ცვლილებები დაინერგა სკოლაში, 2016 წელს ხელისუფლება მიიღებს უამრავ უკმაყოფილო მასწავლებელს. მასწავლებლებს რომ ჰგონიათ, რომ თავი ქუდში აქვთ და გააგრძელებენ მუშაობას, ხელისუფლება 2015 წლიდან გამოაცხადებს ვაკანსიას, მათ შორის სერტიფიცირებულებზე და დიდი შანსია, გარეთ დატოვონ ყველა ის მასწავლებელი, ვინც მათთვის მიუღებელია. ასევე, მასწავლებლებს ექნებათ არა მარტო საგნის გამოცდები ჩასაბარებელი, არამედ კრედიტებიც აქვთ მისაღები. ვანო კიღურაძემ რა პროექტიც შემოიტანა, იქაც სამუშაოა, მაგრამ კიღურაძე უფრო კარგად არის ჩახედული ამ სფეროში, ვიდრე სამინისტრო. ის ამბობს, რომ, თუ შეფასების ცენტრმა ვერ შეძლო გასულ წლებში ერთი გამოცდის ჩატარება, დიდი რისკია, რომ ამ ცენტრმა ვერ მოახერხოს სანიკიძის გამოცდების ჩატარება. ამას ხედავს კიღურაძე და ამას ან ვერ ხედავს სამინისტრო, ან შეგნებულად თვალს ხუჭავს.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...




## ზუგდიდში აფეთქება წყლის ავზის გახეთქვამ გამოიწვია

საქართველოს შს სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, ზუგდიდში, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შენობაში აფეთქება წყლის ავზის გახეთქვამ გამოიწვია. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ვახტანგ გომელაურის განცხადებით:

„ნამდვილად უბედური შემთხვევა მოხდა. დაიღუპა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთი თანამშრომელი. მინდა, მივუსამძიმრო მის ოჯახს. მოხდა წყლის ავზის გასკდომა და ამის შემდეგ მოჰყვა კედლის ნგრევა, რამაც გამოიწვია ე.წ. სინკარის ჩამოვარდნა და... ისვენებდა ჩვენი თანამშრომელი, რომელსაც დაეცა ზედ და მოჰყვა სიკვდილიანობა. მინდა, ხაზი გავუსვა, რომ გავრცელდა ინფორმაციები, თითქოს რაღაც თავდასხმა მოხდა სპეცდანიშნულების ბაზაზე, მოხდა აფეთქება, ეს, რა თქმა უნდა, სიცრუეა, არანაირი თავდასხმა არ მომხდარა, არანაირი აფეთქება არ მომხდარა, უბრალოდ, მოხდა, ასე ვთქვათ, ორთქლის დაგროვება, ცხელი ორთქლის, რამაც გამოიწვია ამ ავზის გასკდომა და კედლის ნგრევა. მეტი ისეთი არაფერი არ მომხდარა, რაც პანიკები გავრცელდა, ჭორები გავრცელდა საინფორმაციო წყაროებში“, – განაცხადა გომელაურმა.

შეგახსენებთ, ზუგდიდში შემთხვევა 27 ოქტომბერს ღამის ორ საათზე, სახელმწიფო უშიშროების სამსახურში მოხდა. დაღუპულია აღნიშნული უწყების ერთ-ერთი სამმართველოს ხელმძღვანელი ზვიად ლაგვილავა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## საქართველო საფრანგეთთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას გეგმავს



საფრანგეთის რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის მინისტრს ირაკლი ალასანიას ფრანგმა კოლეგამ ჟან-ივ ლე დრიანმა უმასპინძლა. მხარეებმა საქართველოსა და საფრანგეთს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები განიხილეს. საუბარი ასევე შეეხო საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივებსა და უელსის სამიტის შედეგებს.

ჟან-ივ ლე დრიანმა საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების გზაზე საფრანგეთის სრული მხარდაჭერა კიდევ ერთხელ გამოხატა. საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა ქართულ მხარეს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, ევროკავშირის სამშვიდობო მისიაში მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა. შეხვედრაზე საუბარი რეგიონალური უსაფრთხოების საკითხებსაც შეეხო. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# 50 ლარი, კვება და თბილი ავტობუსი ღამის გასათევად

## „ნაციონალები“ დროებით უმუშევრებს ასაქმებენ?

**„დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი ახვლედიანის თქმით: „დაწყებულია „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების ფართომასშტაბიანი მობილიზება. 50 ლარს იხდიან თითო ადამიანში, ვინც დათანხმდება და 15 ნოემბერს თბილისში გამოემგზავრება. მათ უზრუნველყოფენ ტრანსპორტით, საკვებით და პლუს 50 ლარით. ამის თაობაზე ინფორმაციას გვაწვდიან ყველა რაიონში ჩვენი პარტიის წევრები, აქტივისტები, მხარდამჭერები, რომლებსაც ასევე შესთავაზეს ამ პროცესში ჩართულობა...“**

„ალიას“ **გიორგი ახვლედიანი** ესაუბრა:

**— კონკრეტულად, რომელი რეგიონებიდან აპირებენ „ნაციონალები“ ხალხის ჩამოყვანას?**

– ჩვენი ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან მაქვს ინფორმაცია, ხედავენ იმ აქტივობას, რომელსაც ახორციელებენ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები, ყოფილი სოფლის რწმუნებულები, რაიონის გამგებლები, რაიონის მუნიციპალიტეტებში მომუშავე ადამიანები, რომლებმაც ბოლო ორი წლის განმავლობაში დაკარგეს სამსახურები, არიან „ნაცმოძრაობის“ აქტივისტები. ყველა რეგიონიდან დეტალური ინფორმაცია არ მაქვს. დამიკავშირდნენ აჭარიდან, იმერეთიდან, კახეთიდან, მომაწოდეს ინფორმაცია, რომ ძალიან აქტიურად მიმდინარეობს მოსახლეობის შერჩევა და მათი მობილიზება, 15 ნოემბრისთვის თბილისში წამოსასვლელად. შერჩეული აქვთ მრავალსულიანი ოჯახები. 2-2-კაციანი ჯგუფები, რომლებიც სოფლის ყოფილ რწმუნებულებს წარმოადგენენ, აგროვებენ 100-100 კაცს, თითო ადამიანის სარგო არის 50 ლარი. ჯამში, 50 ლარი თითო ადამიანზე არის ძალიან დიდი თანხა. გარდა ამისა, ეს არის ჯიბის ფული, ორგანიზატორი უზრუნველყოფს მათ ტრანსპორტირებასა და კვებას.

**— ვინ კურირებს ამ შეკრებას „ნაციონალების“ ოფისიდან?**

– ძირითადად ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც კარგად იცნობენ ადგილზე სიტუაციას. ვიცი, რომ კახეთში ღვინიაშვილს აქვს დავალებული, თელავის რაიონიდან დაახლოებით 500-600 კაცის მობილიზებაა. უკვე არჩევენ და მიმდინარეობს ავტობუსების დაქირავება. შერჩეულია ისეთი ავტობუსები, რომლებიც უზრუნველყოფილია გამართული გათბობის სისტემებით.

**— ეს რისთვის უნდათ?**

– იმისთვის, რომ ეს არ იქნება აქცია, რომელიც 15-ში დილით დაიწყება და საღამოს დასრულდება, ეს იქნება აქცია, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში გაგრძელდება



და ამ ადამიანებმა ღამე ავტობუსებში უნდა გაათიონ. არავითარი კავშირი ამ აქციას არ აქვს აფხაზეთის პრობლემატიკასთან, სულ ცალ ფეხზე ჰკიდია „ნაცმოძრაობას“ რუსეთის მიერ აფხაზეთთან ხელშეკრულების გაფორმება, ეს არის აქცია იმისთვის, რომ მაქსიმალურად მოხდეს მასობრიობის დემონსტრირება, რომ შემდეგ „ნაციონალების“ მიერ კონტროლირებადმა მედიასაშუალებებმა გამოგვიცხადონ, რომ ასობით ათასი ადამიანი შეიკრიბა, რომ გვითხრან, ხალხო, ჩვენ არ მოვმკვდარვართ, „ნაციონალური მოძრაობა“ ცოცხალია, ჩვენ გადავრჩით და განცხადება გაკეთდება, რომ მზად არიან ხელისუფლებაში მოსასვლელად.

**— რა კატეგორიის ადამიანებზე მიდის მუშაობა რაიონებში? ბევრი მომხრე აღარ ჰყავთ „ნაციონალებს“ და „ოცნებაზე“ განაწყენებულ ადამიანებსაც იბირებენ?**

– ჩვენი ორგანიზაციის წევრებსაც სწორედ ეს უკვირთ, იმ სოფლებში აქვთ დავალება მიცემული ხალხის შეგროვებაზე, რომელშიც ადამიანები არჩევნებში ვერ მიიყვანესო. ცოტათი არასერიოზული ჩანს, მაგრამ ამ ყველაფერში ძალიან მაღალი მოტივაციაა ის, რომ ფინანსური მომენტია სახეზე. 50 ლარი ადამიანზე არის ბევრი ადამიანისთვის დიდი მოტივაციაა, შეიძლება იმ ადამიანებისთვისაც კი, ვინც არ მისულა არჩევნებზე და ხმა არ მიუცია „ნაციონალური მოძრაობისთვის“. მით უმეტეს, სოფელშია ეს თანხა დიდი, რადგან ფულის ერთეული სოფელში იმდენად არ მოძრაობს, უმუშევრობის დონეზეც ძალიან მაღალია და ძირითადად პროდუქტის გადაცვლა ხდება.

**— ხალხის მობილიზაციაზე ეცოდინება რაიონებში ადგილობრივ ხელისუფლებასაც. რას ამბობენ თქვენი ორგანიზაციის წევრები, რას უპირისპირებენ „ნაციონალების“ აქტიურობას?**

– მე თბილისში ვარ, ყოველდღიურად მაწვდიან ინფორმაციას და მოქმედმა გამგებლებმა ეს არ იციან? იციან, მაგრამ არ იციან, რა გააკეთონ. არ იციან, ამ ყველაფერს რა დაუპირისპირონ, როგორ იმოქმედონ. ქვეყანას საბავშვო ბაღი მართავს, რომელსაც არ აქვს უნარი, სიძნელეებს თავი გაართვას. მარტივ რამეს ვერ ხვდება ხელისუფლება, როცა დიდი იმედით და დაპირებებით მოდის, პირველი წელი არის მოლოდინი, საზოგადოება მზადაა, მოთმინებით დაელოდოს და დააკვირდეს, რას იზამს ახალი მმართველი ძალა, შეასრულებს თუ არა დაპირებას. მეორე წელი, როცა ხალხი ხედავს, რომ არაფერი წინ არ მიდის, იწყება იმედგაცრუების სტადია, არჩევნებზე უკვე დავინახეთ, როგორ არ მივიდა ხალხი ხმის მისაცემად. ამ ვარდნის შემდეგ იწყება საზოგადოების გაბრაზების ეტაპი. ეს საბოლოო ჯამში მიდის რევოლუციურ განწყობებამდე. ჩვენთან იმედგაცრუების ეტაპია, რომელსაც მოჰყვება გაბრაზების ეტაპი. ის ადამიანები, რომლებსაც შეიძლება გაჭირვების გამო სულმა წაძლიოს და ის 50 ლარი გამოართვას, როგორ უნდა აუკრძალონ რამე, დაპირებები შეუსრულეს და გაჭირვებიდან გამოიყვანეს? თუ „ნაციონალებით“ მოსახლეობის დაშინებასა და ტერორზე გადავლენ, აქციაზე თუ წახვალთ დაგიჭერთო?

რასაც ვუყურებ, სრულიად უმტკივნეულო ვითარებებში ხელისუფლება არაერთ შეცდომას უშვებს. თუ „ნაცმოძრაობა“ აქციებს პერმანენტულ ხასიათს მისცემს, დამერწმუნეთ, სერიოზულად ორგანიზებული ბევრი პროვოკაცია იქნება. „ნაციონალებმა“ ამის გაკეთება კარგად იციან, ისინი არიან ყველაზე პროვოკაციული ძალა ამ ქვეყანაში. მეორე საშიში ეტაპია ისიც, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფები კონტრაქციას აპირებენ. ეს გააასმაგებს სირთულეებს ხელისუფლებისთვის. არ მინახავს, კონტრაქცია მშვიდობიანად დამთავრებულიყოს, მხოლოდ შეძახილებით არ შემოიფარგლებიან. დიდი ალბათობაა დაპირისპირების და თუკი ვინმე იქნება ამაში დამნაშავე, იქნება ხელისუფლება, რადგან პასუხისმგებლობა მას აქვს და რესურსიც მეტი აქვს. პოლიტიკური თვალსაზრისითაც წააგებს ხელისუფლება. „ნაციონალური მოძრაობა“ 2 წლის წინათ სულს ღაფავდა, რეანიმაციაში იყო და მისი აქტივისტები სახლიდან ვერ გამოდიოდნენ იმის შიშით, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი გაუსწორდებოდა, ყველას, ვისაც ფული ჰქონდა მოპარული, სადღაც გაქცევას ცდილობდა. ასეთი განადგურებული და გამქრალი ძალა „ქართულმა ოცნებამ“ დიდი შემართებით გამოათრია, დააყენა ფეხზე და ახლა რევოლუციით გვემუქრებიან. კონტრაქციები რატომ დაანონსდა? იმიტომ, რომ ხალხი ხვდება ერთ რამეს, სამართლიანობა ხელისუფლებამ ვერ აღადგინა, ამიტომ ხალხის ჯერია. საზოგადოებამ დაინახა, რომ ხელისუფლება სამართლიანობის აღმდგენი არაა და სამოქალაქო დაპირისპირების წინაპირობა ჩანს.

და კიდევ ერთი: „ნაციონალებს“ წლების მანძილზე არაერთხელ აუკრძალავთ რუსთაველზე აქციების ჩატარება, არასანქცირებულ მიტინგს არ ჩაგატარებინებთო და თავად თუ შეიტანეს მერიაში განაცხადი 15 ნოემბრის აქციის ჩატარებაზე?

**„ალია“ მერიის პრესსამსახურის ხელმძღვანელს, მაგდა პოპიაშვილს დაუკავშირდა:**

**— მაგდა, „ნაციონალებმა“ შემოიტანეს განაცხადი აქციის ჩატარებაზე?**

– არ შემოუტანიათ ჯერჯერობით. წესი ასეთია: წერილი შემოდის მარტო, ნებართვის გაცემა არ სჭირდება. მხოლოდ უნდა აცნობოს ადგილობრივ თვითმმართველობას, თუმცა, ხუთი დღით ადრე უნდა შემოიტანონ, ბოლო ვადა ასეა კანონით და არ მგონია, ასე ადრიანად შემოიტანონ.

ჟანა ასანიძე

568 00 14 14

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...




## „მოხეში განვითარებული მოვლენების უკან სპეცსამსახურები დგანან“

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარემ, ნიკოლოზ მჟავანაძემ და თეოლოგმა, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორმა ლაშა ცაიშვილმა ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში ქრისტიანებსა და მუსლიმანებს შორის სადავო შენობასთან დაკავშირებულ კონფლიქტურ სიტუაციაზე ისაუბრეს.

„ერთ კვირაზე მეტია, ვნებათაღელვა არ ცხრება მოხეში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, რიგი პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა მხრიდან არაადეკვატური და მიკერძოებული დამოკიდებულება ვლინდება.

იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ გაურკვეველია შენობის წარმომავლობის საკითხი, რატომღაც გარკვეული ძალები მხოლოდ და მხოლოდ მუსლიმანების პოზიციას იზიარებენ, რაც საკმაოდ დიდ გაოცებას იწვევს. მსგავსი ტიპის განცხადებებით, საფრთხე ექმნება ქვეყნის უსაფრთხოებასა და ტერიტორიულ მთლიანობას, ვინაიდან აღნიშნული პროცესები თურქეთისა და საერთოდ, მუსლიმანური სამყაროს თვალთახედვის მიღმა არ რჩება. მუსლიმანების შევიწროებასთან დაკავშირებული განცხადებებით ჩვენ სერიოზულ საფრთხეს ვუქმნით ჩვენი ქვეყნის სამომავლო პერსპექტივებსაც. არ გამოვრიცხავთ, ამ პროცესების მიღმა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებიც მოქმედებდნენ, რადგან ბოლო პერიოდში საკმაოდ გახშირდა რელიგიურ ნიადაგზე პროცესების ესკალაცია, რომელსაც ხელოვნურად ძაბავენ გარკვეული ძალები ადგილობრივი მოსახლეობის წაქეზებით“, – განაცხადა მჟავანაძემ.

„საქართველოში უმრავლესობის პოზიცია და ინტერესები იგნორირებულია როგორც სახალხო დამცველის, ასევე სამოქალაქო სექტორის ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან. ეს ხალხი მხოლოდ და მხოლოდ ერთი ჯგუფის ინტერესებს იცავს და იმ დროს, როცა ქრისტიანების უფლებები ირღვევა, ისინი ამაზე არანაირ რეაგირებას არ ახდენენ. ასე მოხდა ბარბარეს ეკლესიის დარბევის დროსაც და ასე ხდება, როცა შეურაცხყოფას აყენებენ საქართველოს პატრიარქს და მართლმადიდებლებს. სამწუხაროდ, ეს ხალხი მაშინ ჩუმადაა და ხმას არ იღებს აღნიშნულთან დაკავშირებით. ასევე გაუგებარია, რატომ მოუწოდებს ახალციხის მუფთი სისხლისღვრისკენ მოსახლეობას. ყველაფერ ამას გარკვეული რეაგირება უნდა მოჰყვეს ხელისუფლების მხრიდან“, – განაცხადა ცაიშვილმა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „არასამთავრობო სექტორის მარგინალიზაციას არასამთავრობო ორგანიზაციები უწყობენ ხელს“



„ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე მიიჩნევს, რომ „არასამთავრობო სექტორის მარგინალიზაციას არასამთავრობო ორგანიზაციები უწყობენ ხელს“.

„ხელს უწყობენ თავიანთი არაკვალიფიციურობით, გამოუცდელობით და რაც მთავარია, ზედმეტი წარმოდგენის ქონით, რომ ყველაფერი ვიცით, რადგან ვართ არასამთავრობო ორგანიზაციები. ხშირად ისეთი ადამიანები გამოდიან და საუბრობენ ადამიანის უფლებებზე, აზრზე არ არიან, რა არის ადამიანის უფლებები. მათი ეს არაკვალიფიციურობა არა მარტო ამ, არამედ რელიგიური მიმართულებითაც ვლინდება.

არასამთავრობო ორგანიზაციები უნდა ფინანსდებოდნენ ქვეყნის გარედან, რაც საჭიროა იმისთვის, რომ მათ მერე ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე თავისუფლად ისაუბრონ. ის არ უნდა იყოს დამოკიდებული შიდა ხელისუფლებაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ისე აღმოჩნდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მათ წნეხი არ აქვთ შიდა ხელისუფლებისგან, ისინი აღმოჩნდნენ იმ სუბიექტების ქვეშ, რომლებიც აფინანსებენ“, – განაცხადა კაკაბაძემ. (რეპორტიორი)

## „მე ვარ შენი პაწაწო“ — ვისი პაწაწოა თეონა კონტრიძე



მოსკოვში მცხოვრებმა ქართველმა მომღერალმა, ჯაზ-პანკის ცნობილმა შემსრულებელმა თეონა კონტრიძემ თავის მეუღლეს დაბადების დღე ასეთი სიტყვებით მიულოცა, რომელიც მოგვიანებით სოციალურ ქსელშიც გამოაქვეყნა.

– 34 წლის გახდი, მაგრამ ახლა ამაზე არ მინდა... ჩემზე მინდა ვთქვა. უფრო სწორად იმაზე, როგორ ვუყვარვარ უფალს. კლუბი „ცეპელინის“ არსებობის მანძილზე, არაფერი არ მომხდარა მასში იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე ჩემი და შენი შეხვედრა იყო. არ დავიღლები ჩვენი გაცნობის ისტორიის მოყოლით. არ დავიღლები იმიტომ, რომ ძალიან გულისამაჩუყებელი ამბავია და ადამიანებს ეხმარება სასწაულის დაჯერებაში. შენი სიყვარული ჩემდამი – ეს სასწაულია. ყველაზე ლამაზი ადამიანი ხარ, ვინც კი ოდესმე შემხვედრია. მე არ ვიცი, რას გვიმზადებს ცხოვრება, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ – არავის და არაფრის მეშინია, იმიტომ, რომ შენ მყავხარ! შენ ხარ ჩემი ბუდე, ჩემი მეგობარი, ჩემი ოჯახი, ჩვენი ბავშვები და ჩემი სიმღერებიც კი. შენს გარეშე არაფერი ღირებული არ იქნებოდა ჩემს ცხოვრებაში. და ასე, 2004 წლიდან. შენ ჩემი გმირი ხარ, ჩემი სამურაი, პლანეტის ყველაზე უშიშარი მეომარი, სახელად სიყვარული. გაუგებრად ვწერ. ვაღიარებ, ქართულად უკეთესად გამომივიდოდა. რა ვქნა, შენ მარტო რუსულად ლაპარაკობ (ჯერჯერობით). მე შენთან ვარ, შენი პაწაწო ვარ და ვეცდები, ყოველთვის ასეთად დავრჩე. დაბადების დღეს გილოცავ, კოლიაშ!!! – წერს თეონა კონტრიძე.

*pia.ge*

## ამალია ჯიბლაძის ტკივილიანი გზა — „წელიწად-ნახევარია რაც მეუღლე დამეღუპა...“



ამალია ჯიბლაძის სახელი და გვარი „რუსთავი 2“-ის მაყურებელმა უკვე კარგად იცის. „ნიჭიერის“ გადაცემის ფინალი ემოციური აღმოჩნდა მაყურებლისთვის. „ბაფთებს ვაკეთებ და ბაზრობაზე ვაბარებო, თქვა სიუჟეტში მან, სცენაზე კი ნამდვილი ფურორი მოახდინა. ჟიური და მაყურებელი გაოგნებული შეჰყურებდა ადამიანს, რომელმაც გასაოცარი ხმა ამოუშვა ყელიდან – სცენაზე სუფთა ნოტები, ძლიერი ემოცია და დახვეწილი მუსიკალური გემოვნება იღვრებოდა. მაყურებელი ტიროდა, ცრემლებს იწმენდდა ია ფარულავაც.

– ალბათ, ჩემი წინაპრები მღეროდნენ. პროფესიონალურად – არავინ... ბავშვობიდან მიყვარს მუსიკა, ვმღეროდი სკოლის გუნდში. დავამთავრე კულტურის კოლეჯი. პროფესიით პედაგოგი ვარ, სტუდენტობის პერიოდში პატარ-პატარა კონკურსებში მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ დიდ სცენაზე არასდროს ვმდგარვარ. ეს ჩემი დებიუტი იყო...

ქვრივი ვარ. წელიწად-ნახევარია რაც მეუღლე დამეღუპა... მყავს ორი შვილი...

*reitingi.ge*

## რამ გააბედნიერა ანუკი არეშიძე?



როგორც იცით, თბილისის მოდის კვირეული დაიწყო, რომელიც სამი დღე გაგრძელდება.

ამასთან დაკავშირებით ანუკი არეშიძემ სოციალურ ქსელში დაწერა სტატუსი, სადაც აღნიშნა, რომ ძალიან აბედნიერებს ის წამები, როდესაც ხალხს მისი ნამუშევრები მოსწონს.

– 4 წამში ვასწრებ, დავიტენო საოცარი ენერგიით, იმ ოვაციების შემდეგ, რასაც დამსწრე სტუმრებისგან ვიღებ ხოლმე, პირადად ჩემთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი ამდენი შრომის შემდეგ, ეს 4 წამია, როცა შემიძლია, მადლობა ვუთხრა ყველას, – წერს არეშიძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

*pia.ge*

## გიორგი ყიფშიძე და ანი ჩიკვილაძე შერიგდნენ: „ყველაფერი წარსულს ჩაბარდა...“



გიორგი ყიფშიძისა და ანი ჩიკვილაძის ოჯახი გასულ ზაფხულს კინაღამ პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავებს“ შეეწირა. ქალაქში ჭორი გავრცელდა, რომ გიორგი და ჯულიანა ბარ-გნარი შეყვარებულები იყვნენ და ოჯახის შექმნასაც გეგმავდნენ. გიორგი ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებდა. ჯულიანა კი ცდილობდა, ჟურნალისტების კითხვები თავიდან აეცილებინა. ამბობდა, რომ შეყვარებული იყო, თუმცა შეყვარებულის ვინაობის დასახელებისგან თავს იკავებდა.

ჭორის მიხედვით, გიორგისა და ჯულიანას შემოდგომაზე უნდა ექორწინათ.

თუმცა გიორგი მეუღლესთან, ანი ჩიკვილაძესთან ერთად ვნახეთ და ბუნებრივია, დავინტერესდით, რა ხდებოდა საქართველოში ყველასთვის ცნობილ ოჯახში.

ანი ჩიკვილაძე:

– ერთად ვართ... ზაფხულში ცალ-ცალკე ვიყავით, თუმცა ყველაფერი წარსულს ჩაბარდა...

*reitingi.ge*

## მომღერალმა ნათია დუმბაძემ პუტინს შუა თითი უჩვენა — „ნათი, შენ ინტერპოლი გეძებს“



მომღერალი სამოგზაუროდ ევროპაში იმყოფება.

ცვილის ფიგურების მუზეუმში გადაღებული ფოტო, რომელშიც დუმბაძე „პუტინს“ შუა თითს უჩვენებს მოდელმა ირინა ონაშვილმა გაიზიარა, რომელიც ასე დაასათაურა: „ნუ, რა მეგობრები მყავს“. გაზიარებულ ბმულზე ვიკა ბუკიამ ხუმრობით მიაწერა: „ნათი, შენ ინტერპოლი გეძებს“.

დუმბაძის მეგობრებმა მისი საქციელი მოიწონეს, ზოგიერთმა მათგანმა იმავეს გაკეთების სურვილიც გამოთქვა.

*pia.ge*

## ტელევიზიას უთქვენობა დაეტყობა — ჟორჟოლიანი „მაესტროდან“ წასულ ჟურნალისტებზე



ტელეწამყვანი ნანუკა ჟორჟოლიანი ტელეკომპანია „მაესტროდან“ ჟურნალისტების წასვლის ფაქტს „ფეისბუკზე“ ეხმაურება.

– არ ვიცი, რა მოხდა „მაესტროში“, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ნინო ჟიჟილაშვილსა და დიანა ტრაპაიძეს წამოსვლის მიზეზი ექნებოდათ. დიანას კარგად ვიცნობ. ბევრი მისი კოლეგისგან განსხვავებით, არასოდეს უსაუბრია ფინანსურ გარიგებებსა და საკუთარ კეთილდღეობაზე. ნინო ჟიჟილაშვილს კიდევ უფრო კარგად და ჩემი მისდამი პატივისცემა მინდა ასე საჯაროდ დავადასტურო დღეს კიდევ ერთხელ. გოგოებო, წარმატებები. მგონია, რომ ტელევიზიას უფრო დაეტყობა უთქვენობა, ვიდრე პირიქით, – წერს ჟორჟოლიანი.

ტელეკომპანია „მაესტრო“ დღეს თეონა გეგელიამ და დიანა ტრაპაიძემ დატოვეს. ერთი კვირის წინ კი „მაესტრო“ მაკა ცინცაძემ დატოვა.

*newposts.ge*

## ამიკო ჩოხარაძე ავარიაში მოყვა — „რა საჭიროა ამის დაწერა...“



მერტო დელისის მიმდებარე ტერიტორიაზე ტელეწამყვანი და იუმორისტი ამიკო ჩოხარაძე ავტოსაგზაო შემთხვევაში მოყვა.

იუმორისტი ამიკო ჩოხარაძე თავისი „პორშეს“ ჯიპით ორკარიან „მერსედესს“ დაეჯახა, რომლის საჭესაც გოგონა მართავდა. როგორც შემთხვევის თვითმხილველი ჰყვება, ამიკოს მანქანა ევაკუატორმა წაიყვანა.

ამიკო ჩოხარაძე:

– კარგად ვარ, არაფერი არ მჭირს, სამსახურში ვარ და კარგად ვგრძნობ თავს... ჩემიც და მგონი, ორივე მანქანა ევაკუატორმა წაიყვანა. დიდი არაფერი ყოფილა, რა საჭიროა ამის დაწერა, პატარა შეჯახება იყო.

*reitingi.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. პოეტი აკაკი ...
2. კაციჭამია
3. რა ააგო ნოემ
4. მწყემსის მუსიკ. ინსტრუმენტი
5. სანპიგიენური დანესებულება
6. ... პუგაჩოვა
7. მსახიობი ... იოვოვიჩი
8. სასწავლო დაწესებულება
9. ვირის ნაშიერი
10. ნუგბარი ფიჭაში
11. ფედერიკო გარსია ...
12. ინდოეთის დედაქალაქი
13. ადრეული ხილი
14. სოკოს მოსაგროვებელი ჭურჭელი
15. ქვიშა
16. ღვინის გამყიდველი ძველად
17. მხ/ფ „... ჩემო სიყვარულო“
18. თხის ნაშიერი
19. ინდიელის ფეხსაცმელი
20. სახელმწიფო აფრიკაში
21. სატელეფონო სიტყვა
22. მარცვლოვანი მცენარე
23. მშვილდით სასროლი ჯოხი
24. ობობის ქსელი
25. მამითადი
26. მელვინეთუხუცესი (სახელი)
27. ავტ. რესპუბლიკა საქართ.
28. დაწმენდილი შაქარი
29. „სოლომონ ... მეჯღანუაშვილი“
30. მისი დედაქალაქია ბაღდადი
31. თავდაცვის იარაღი ძველად
32. ბოლოკის მსგავსი ბოსტნეული
33. მხ/ფ „ნეილონის ... ხე“
34. ხილის ნაჭუჭიანი გული
35. ჩიტების დასაჭერი საცერი
36. მსახიობი მაკოლეი ...
37. მალევიჩი. „შავი ...“
38. მოდელი ... კემპბელი
39. მთიდან არეკლილი ხმა
40. ... კუტუნიო
41. იტალიის დედაქალაქი
42. შაბათ საღამო, ანუ ...
43. გემოვნების ორგანო
44. მწნილი
45. მისალმება მუხლის მოხრით
46. საფრანგეთის იმპერატორი
47. ... გავეყარე და ვუის შევეყარე
48. შრომა
49. დაბა თბილისთან
50. „დეკამერონის“ ავტორი
51. ჭრილობა
52. რეჟისორი ფედერიკო ...
53. კუტიურიე ... ასათიანი
54. მსახიობი ... უილიამსი
55. ტაბლეტი
56. კათოლიკური სამლოცველო
57. კომბლეს ძროხა
58. ჯიქანი
59. დაესმის არსებით სახელს
60. ემინემის სიმღერის სტილი
61. ძველ რომში: ... და სანახაობა
62. რაიმეს ღირებულება
63. მამაკაცი ძიძა
64. საწვავი სითხე ლამპაში
65. მხ/ფ „... მეცხვარე“
66. გეომეტრიაში: გვერდიგვერდ ორი ხაზი, რომელიც არასოდეს გადაიკვეთება
67. საჰაერო ფლოტი
68. ქრისტეს გამყიდველი მოწაფე
69. კუროტი საქართ. მაგნიტ. ქვიშით
70. მახრჩობელა გველი ამაზონში
71. მსახიობი ... უჩანეიშვილი
72. ლექსის სტრიქონების დაბოლოვება
73. კუტიურიე ჯორჯო ...
74. ავტომობილი „...-როისი“
75. ბოქლომი
76. მსახიობი ... რიშარი
77. ელექტროლოკომოტივი
78. უდაბნო პერუში
79. ატმოსფერ. მდგომარეობა
80. „მორბის ... არაგვიანი“
81. ძვ. თბილისური მიმართვა
82. ეკლესია რუსთაველის პროსპექტ.
83. ოტელოს ეროვნება
84. მომღერალი ... ჯოხაძე
85. საგალობელი „...-მარია“
86. მხ/ფ „მაგდანას ...“
87. მხ/ფ „თოჯინები ...“
88. მონღოლი დიდებული
89. ისტ. კომპლექსი დუშეთის რაიონში
90. ფუტკრების სახლი
91. თეატრის კოლექტივი
92. მგალობელი ფრინველი
93. პარკოსანი მცენარე
94. საყოფაცხოვრებო ნარჩენი
95. „მაუგლი“ ავტორი
96. არეულობა, ანუ ...
97. კუზიანი ცხოველი
98. მსახიობი ... კიდმანი
99. კომპოზიტორი ჯუზეპე ...
100. თეთრი მასა ლუდის თავზე
101. ქიმიური ელემენტი
102. „წითელი“ პლანეტა
103. ლითონის გასახეხი ძელაკი
104. ჭრიჭინა, იგივე ... ფერაძე
105. კედლის შანდალი
106. დუმბაძის პერსონაჟი
107. ცხენირემი
108. ბოსტნეული
109. აქ მდებარეობს მუზეუმი „პრადო“
110. ტიბეტური ხარი
111. ფასდაკლება
112. მხ/ფ „... რუჟი“
113. ლიბანის დედაქალაქი
114. პირის ნაცვალსახელი
115. ვიოლინოს ჯოხი
116. ქალის სამკუთხა თავსაფარი
117. მყრალი ცხოველი
118. გამოუწვავი აგური
119. მეფის მხლებლები
120. შესახედაობა
121. იდეა
122. კერძის ერთი ნორმა
123. ოპერა „ევგენი ...“
124. გოგონა საოცრებათა ქვეყნიდან
125. რეჟისორი ... კუსტურიცა
126. ბილიარდის ჯოხი
127. ლორის ცხვირი
128. უმცროსის საპირისპირო
129. ყურე
130. მორონული სარდაფში
131. თევზის წვნიანი
132. რაზა
133. შალის საპალტოე ქსოვილი
134. გადამდნარი კარაქი
135. ხის ჯიში
136. იანის საპირისპირო
137. წისქვილის ქვა
138. პატარა მარხილი
139. მსახიობი ... დელონი
140. მუსიკ. ვიდეორგოლი
141. „იმერული ესკიზები“ მათხოვარი
142. კვერცხის თეთრი შიგთავსი
143. ... კინოტ ლამაზელი
144. რეპტილია
145. მტაცებელი ფრინველი
146. მზის სისტემის სხეული
147. მომღერალი ... გეგელია
148. შენობა საწნახ-ლით
149. ბაგე
150. ... ჩიბურდანიძე
151. ბერძ. ანბანის პირველი ასო









რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ბუჩქი შავი კენკრით
2. მ/ფ „... ჭაბუკი“
3. საესტრადო სიმებ. ინსტრუმენტი
4. ცხენებშებმული ტრანსპორტი
5. მომღერალი ... ბურჭულაძე
6. ქართ. ხალხური ზღაპარი
7. მგალობელი ფრინველი
8. მახრჩობელა გველი ამაზონში
9. მეცნიერი ... ვეკუა
10. ... მოგივა დავითაო
11. თვალის გუგა
12. ... კუზანოვი
13. ძველი ხელნაწერი
14. სამშობლოს მოყვარული
15. ცხელი ნაკვერჩხალი
16. წლოვანება
17. გულიანი ნამცხვარი
18. ფიგურისტი ... როდნინა
19. რაიმეს სახელური
20. რაჯ კაპური ფილმში
21. ცელქი
22. მეორე საუზმე ინგლისში
23. თეთრი თიხის კერამიკა
24. რექტორის მოადგილე
25. თვალის ნაწილი
26. მცენარის ნაწილი. შეიცავს ქლოროფილს
27. ექსპრეზიდენტი თეოდორ ...
28. მერი შელის ზომბი
29. მდინარე შუა აზიაში
30. სპორტის სახეობა
31. ქალაქი ლატვიაში
32. რეჟისორი ლეონიდ ...
33. თმის საშრობი ხელსაწყო
34. მირაჟი: ფატა-...
35. დიდი ხნის დაუმუშავებელი მიწა
36. ხორცის კერძი
37. მსახიობი ... პარიიო
38. თვითნასწავლი მხატვრობა
39. შანსონიე შარლ ...
40. სოფელი ახალციხის რაიონში
41. ნადირობის ქალღმერთი
42. ყვავილი
43. „... მამალო, ოქროსბიბილოვანო“
44. მისი დედაქალაქია ტოკიო
45. ქიმიური ელემენტი
46. ცირკის ტანმოვარჯიშე
47. ამ ენაზე მეტყველებდა ქრისტე
48. პოეტი სანდრო ...
49. ლუი დე ფიუნესი ფილმში
50. ესპანელი დიდგვაროვანი
51. ცხენების სადგომი
52. ფასდაკლება
53. მსახიობი ჟან ...
54. ტენორი მარიო ...
55. ერთი ქვეყნის მთავრობის წერილობითი მიმართვა მეორისადმი
56. ობობის ქსელი
57. კურორტი სოჭის რაიონში
58. უსინათლოთა ანბანი
59. შტატი აშშ-ში
60. შოტლანდიის დედაქალაქი
61. მულტიპლიკაცია
62. კვერცხის თეთრი შიგთავსი
63. „მთვარის მოტაცება“ თარამ ...
64. მ/ფ „ქალაქი ...“
65. შეყვარებული, ანუ ...
66. „მეშვიდე ...“
67. ჩანთოსანი ცხოველი
68. მომღერალი ... სებისკვერაძე
69. სასტუმროს ოთახი
70. რისი ორგანოა ენა
71. ქალაქის ტიპის დასახლება
72. ციური სხეულის სამოძრაო გზა
73. ფრანგი მომღერალი ქალი
74. მეფე არტურის პირველი რაინდი
75. მ/ფ „მაგდანას ...“
76. ... პუგაჩოვა
77. მწერალი თეოდორ ...
78. შტატი აშშ-ში
79. ინგლისის დედაქალაქი
80. მომღერალი ოზი ...
81. პოლიტიკოსი ... ხიდაშელი
82. თეფში
83. მ/ფ „ტრუფალდინო ...“
84. კურორტი ოზურგეთის რაიონში
85. იყო ... როსტევან
86. „ხევის ბერი გოჩა“ პერსონაჟი
87. მაკარონი კოტლეტის გვერდით
88. იტალიური ავტომობილი
89. ქალის სამოსი
90. ცეცხლის ენა
91. ჟურნალისტი ინგა ...
92. ... მეფობენ და არა მეფენი
93. მშვილდით სასროლი ჯოხი
94. თაფლიანი ნამცხვარი
95. კომპოზიტორი იან ...
96. კოსმოდრომი ყაზახეთში
97. „რვაფეხა“ კომისარი კორადო ...
98. წყლის ტრანსპორტი
99. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი
100. მოუხარშავი
101. მცენარე. ამზადებენ აბსენტს
102. მსახიობი ელიზაბეტ ...
103. კურტ კობეინის ჯგუფი
104. „დრაკულას“ ავტორი
105. ოპერა „ევგენი ...“
106. მდ. სანკტ-პეტერბურგში
107. იუპიტერის თანამგზავრი
108. მსახიობი გრეტა ...
109. ქალაქი აფხაზეთში
110. ნილოსის დუმფარა
111. მოქანდაკე ოგიუსტ ...
112. „ბითლზი“ ჯონ ...
113. მოდელი ... კროუფორდი
114. ქალაქი ესპანეთში
115. ფიზიკოსი ლევ ...
116. ... გავეყარე და ვუის შევეყარე
117. მსახიობი შონ ...
118. მას ცვილის ფრთები ჰქონდა
119. მსახიობი ... კიდმანი
120. არბიტრი
121. ცერი, ნეკი, ანუ ...
122. ნორვეგიის დედაქალაქი
123. ზრდადაუსრულებელი ქათამი
124. შორ მანძილზე მორბენალი
125. შეწერილი გადასახადი
126. ცეკვა, ანუ ...
127. მუხის ქერქი
128. სასრილეთი
129. გია სურამელაშვილის სიმღერა
130. ქალაქი, სადაც ნიკოლოზ ბარათაშვილი გარდაიცვალა
131. უბე ნორვეგიის სანაპიროზე
132. მაჟორი და ...
133. მსახიობი ... ჰეჩი
134. რაც ... გერგება, ... შეგერგება
135. მწერალი ... ლომოური
136. ზამთრის სპორტის სახეობა
137. ღამის ფრინველი
138. ... შანელი
139. მსახ. აიშვარია ...

პასუხები: 1. მაყვალი; 2. საბუდარელი; 3. კონტრაბასი; 4. ეტლი; 5. პაატა; 6. „ასფურცელა“; 7. მოლაღური; 8. ანაკონდა; 9. ილია; 10. რაც; 11. ბაია; 12. ივა; 13. მანუსკრიპტი; 14. პატრიოტი; 15. ღადარი; 16. ასაკი; 17. ქადა; 18. ირინა; 19. ტარი; 20. „ავარა“; 21. ანცი; 22. ლანჩი; 23. ფაიფური; 24. პრორექტორი; 25. რქოვანა; 26. ფოთოლი; 27. რუზველტი; 28. ფრანკენშტაინი; 29. ამუდარია; 30. ფარიკაობა; 31. იურმალა; 32. გაიდაი; 33. ფენი; 34. მორგანა; 35. ყამირი; 36. ყაურმა; 37. ან; 38. ნაივი; 39. აზნავური; 40. აწყური; 41. დიანა; 42. კალენდულა; 43. ყიყლიყო; 44. იაპონია; 45. ვანადიუმი; 46. აკრობატი; 47. არამეული; 48. ეული; 49. „გაყინული“; 50. იდალგო; 51. თავლა; 52. სეილი; 53. მარე; 54. ლანცა; 55. ნოტა; 56. აბლაბუდა; 57. ადლერი; 58. ბრაილი; 59. ნევადა; 60. ედინბურგი; 61. ანიმაცია; 62. ცილა; 63. ემხვარი; 64. ანარა; 65. მიჯნური; 66. ცა; 67. კენგურუ; 68. ნეკი; 69. ნომერი; 70. გემოვნება; 71. დაბა; 72. ორბიტა; 73. დალიდა; 74. ლანსელოტი; 75. ლურჯა; 76. ალა; 77. დრაიზერი; 78. არკანზასი; 79. ლონდონი; 80. ოსბორნი; 81. თინა; 82. საინი; 83. ბერგამოდან; 84. ბახმარო; 85. არაბეთს; 86. გუგუა; 87. გარნირი; 88. „ფერარი“; 89. კაბა; 90. ალი; 91. გრიგოლია; 92. დრონი; 93. ისარი; 94. იდეალი; 95. სიბელიუსი; 96. ბაიკონური; 97. კატანი; 98. ნავი; 99. სირ; 100. უმი; 101. აბზინდა; 102. მასტრანტონიო; 103. „ნირვანა“; 104. სტოკერი; 105. ონეგინი; 106. ნევა; 107. იო; 108. გარბო; 109. გალი; 110. ლოტოსი; 111. როდენი; 112. ლენონი; 113. სინდი; 114. ალიკანტე; 115. ლანდაუ; 116. ვაის; 117. კონერი; 118. იკაროსი; 119. ნიკოლ; 120. მსაჯი; 121. თითი; 122. ოსლო; 123. ვარია; 124. სტაიერი; 125. ბეგარა; 126. როკვა; 127. კორპი; 128. ტირი; 129. „ნინიკო“; 130. განჯა; 131. ფიორდი; 132. მინორი; 133. ენ; 134. არ; 135. ნიკო; 136. ბიათლონი; 137. ბუ; 138. კოკო; 139. რაი. იკითხება: ყულაბა.

რეკლამა: 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


## მეცნიერების მტკიცებით, პორნოგრაფიის ყურება მეხსიერებას ვნებს



ადამიანის ფსიქიკაზე რომ არც თუ სახარბიელოა პორნოგრაფიის გავლენა, დიდი ხანია, ცნობილი ფაქტია. რაც შეეხება მის ზიანს მეხსიერებაზე, ეს უკვე ახალი ამბავია.

როგორც ამბობენ, ინტერნეტში პორნოგრაფიული სურათებისა თუ ფილმების ყურება თავის ტვინის იმ მონაკვეთზე ახდენს უარყოფით გავლენას, რომელიც გარკვეული დავალების შესრულებაზეა პასუხისმგებელი. კერძოდ, ეს მონაკვეთი მუშაობს აღქმაზე, მსჯელობასა და გადაწყვეტილებების მიღებაზე.

გერმანელმა მეცნიერებმა 28 ჰეტეროსექსუალ ახალგაზრდა მამაკაცს კომპიუტერში ფოტოების დათვალიერება შესთავაზეს. ზოგიერთი ფოტო პორნოგრაფიული, დანარჩენები კი არასექსუალური ხასიათის იყო. პარალელურად, მათ სხვადასხვა კითხვაზე პასუხი უნდა გაეცათ.

აღმოჩნდა, რომ პორნოგრაფიული ფოტოების თვალიერებისას, სწორი პასუხების რაოდენობამ 67 პროცენტი შეადგინა, ხოლო არაპორნოგრაფიულის შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი მინიმუმ 80 პროცენტამდე გაიზარდა.

შედეგად დასკვნაც შესაბამისი გამოვიდა: სექსუალური აღგზნება თავის ტვინის მუშაობას აფერხებს...

*mainfun.ru*

## მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივი სიცოცხლე იაპონელების ფუფუნებაა



ალბათ, რა მაგარია, ასეთი რეიტინგის სათავეში რომ მოექცევი? არა, იმას სულაც არ ვნატრობთ, უკვდავები ვიყოთ, მაგრამ აბა, რომელი ადამიანი იტყვის უარს იმაზე, რომ, რაც შეიძლება, დიდხანს იცოცხლოს?!

მოკლედ, ყველაზე ხანგრძლივი სიცოცხლის მხრივ მსოფლიოში პირველ ადგილზე ამომავალი მზის ქვეყნის მკვიდრები მოხვდნენ და, საერთო ჯამში, 186 ქვეყანა დაჯაბნეს.

ქვეყნებს შორის, რომლებშიც გამორჩეულია მამაკაცების ხანგრძლივი სიცოცხლე, იაპონიას სინგაპური მოსდევს, მესამე ადგილზეა შვეიცარია. შემდეგ მოდიან: ისლანდია, იტალია, ავსტრალია, კანადა, ანდორა, ისრაელი და სამხრეთ კორეა.

მშვენიერი სქესის სიცოცხლის ხანგრძლივობითაც იაპონია ლიდერობს, მეორე პოზიცია კი სამხრეთ კორეას ეკუთვნის, ხოლო მესამე – ესპანეთს. შემდეგ მოდიან: სინგაპური, ტაივანი, შვეიცარია, ანდორა, იტალია, ავსტრალია და საფრანგეთი.

*pronowosti.ru*

## როგორ უნდა გახდეს ადამიანი ბედნიერი?



აუ, ისეთი ადვილი ყოფილა ბედნიერების პოვნა, ვერც კი წარმოიდგენთ. ყოველ შემთხვევაში, ამერიკელი მეცნიერების „რეცეპტი“ უადვილესი შესასრულებელია და თუ მართლა დაგეხმარებათ, ძალიან მაგარი იქნება.

ჰოდა, იმის თქმა გვინდა, რომ როგორც კონტინენტსგაღმელები ამბობენ, ბედნიერების შეგრძნება დამოკიდებულია... დღის ძილზე.

– ადამიანები, რომლებიც დღის მანძილზეც ახერხებენ დაძინებას, დანარჩენებზე ბედნიერები არიან, – ამტკიცებენ მოსაზრების ავტორები.

საიდან გაჩნდა ასეთი აზრი? განმარტება ასეთია:

ხანმოკლე ძილს დღის მანძილზე, თუნდაც ნახევარსაათიანს, შეუძლია „გამორთოს“ ადამიანის ორგანიზმი და მასში ბედნიერების ჰორმონის – სეროტონინის გამომუშავების დონე გაზარდოს. განსაკუთრებით სასარგებლოა ძილი ზამთრის პერიოდში.

სხვათა შორის, კვირის მანძილზე სულ რაღაც 3-საათიანი დამატებითი ძილი 37 პროცენტით ამცირებს ისეთი საშიში უსიამოვნებების რისკს, როგორიცაა, მაგალითად, ინსულტი, ინფარქტი.

სპეციალისტების რჩევაა, საუკეთესო შედეგის მისაღებად, ადამიანმა დღის მანძილზე 13-დან 15 საათამდე „წაუპლაცკარტოს“...

*medkarta.com*

## სიმსუქნისგან უფრო მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე, შიმშილისგან



ბევრს კი ხუმრობენ ხოლმე ფუმფულა ადამიანებზე, მაგრამ სინამდვილეში სულაც არ არის საქმე სახუმაროდ!

სპეციალისტებმა 1990-დან 2010 წლამდე პერიოდის ანალიზი ჩაატარეს და დაასკვნეს, რომ ჭარბი წონისგან გამოწვეული დაავადებები 3-ჯერ ხშირად ხდება ადამიანების გარდაცვალების მიზეზი, ვიდრე დაავადებები, რომლებსაც შიმშილი იწვევს.

იმის გამო, რომ მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში ხელმისაწვდომია ძალიან მრავალფეროვანი პროდუქტები, მათ სულ უფრო მეტი ადამიანი ეტანება და ამის პარალელურად, ისინი სულ უფრო ნაკლებად მოძრაობენ.

სტატისტიკის თანახმად, კატასტროფულადაა გაზრდილი ადამიანთა რიცხვი, რომლებსაც აწუხებთ ჰიპერტონიული დაავადებები, დიაბეტი, ჭარბი წონა. ყოველწლიურად დაავადებებისგან, რომლებიც სიმსუქნეს უკავშირდება, ჩვენი პლანეტის დაახლოებით 3 მილიონი მკვიდრი ეწირება. აფრიკის გამოკლებით, მსოფლიოს ქვეყანათა უმრავლესობაში სიმსუქნის პრობლემა მუდმივად მატულობს.

თუკი ადრე მეცნიერები იმაზე იმტვრევდნენ თავს, როგორ გამოეკვებათ ადამიანები, რომლებსაც საჭმელი არ ჰყოფნით, ახლა უკვე იმაზე მუშაობენ, დაარწმუნონ ხალხი, რომ ზომიერ კვებას მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

*receptkulinar.ru*

## ჰონკონგური ავიაკომპანიის ბორტგამცილებლები პროტესტის ნიშნად მგზავრებს აღარ გაუღიმებენ




სამწუხაროდ, ჩვენთან არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა გამყიდველი იქნება თუ ბანკის თანამშრომელი, ისე გიბღვერის, გეგონება, მისი სანათესაოს ამოხოცვას აპირებდე.

მოკლედ, ღიმილს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მომსახურების სფეროში, რაშიც, ალბათ, დაგვეთანხმებით და სწორედ ღიმილზე უარის თქმა გადაწყვიტეს ჰონკონგური ავიაკომპანიის თანამშრომლებმა მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობისგან ხელფასების 5 პროცენტით გაზრდაზე უარი მიიღეს.

გარდა იმისა, რომ ბორტგამცილებლები უარს ამბობენ, მგზავრებს გაუღიმონ, ეს უკანასკნელები ვეღარც ალკოჰოლურ სასმელს მიიღებენ.

– მოკლედ რომ ვთქვათ, გავაგრძელებთ ჩვენს საქმეს, ოღონდაც, 5-ვარსკვლავიანი ღირებულების სანაცვლოდ, მგზავრები 3-ვარსკვლავიან სერვისს მიიღებენ, – განმარტავენ ბოიკოტის ინიციატორები.

*lenta.ru*

## მეცნიერებმა ტვინის უჯრედები... შარდისგან შექმნეს



ვისაც ერთი პოპულარული უხეში გამოთქმა უყვარს: „შენ თავში ფეხი ხომ არ გაქვსო“, მოუწევს, გადახედოს ამ არჩევანს და ამიერიდან „შენ თავში შარდი ხომ არ გაქვსო“, თქვას. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ზოგ შემთხვევაში, ამ კითხვაზე შეიძლება დადებითი პასუხიც კი იქნეს გაცემული. როგორ და რანაირად? ახლავე ყველაფერს მოგახსენებთ:

მეცნიერებმა შარდის ნეირონებად გადაქცევის ხერხს მიაგნეს.

ახალი მეთოდი ადამიანის შარდში შემავალი უჯრედების გამოყენებას გულისხმობს, რაც მათ სამომავლოდ ღეროვანი უჯრედების შესწავლაში დაეხმარება. სიახლის ავტორთა თქმით, მათი მეთოდი განსაკუთრებით ბავშვებში იქნება სასარგებლო, რადგან მათგან შარდის ანალიზის აღება ბევრად ადვილია, ვიდრე სისხლის.

ამ უცნაური და ალბათ, მნიშვნელოვანი მიღწევის ავტორები ჩინელი მეცნიერები არიან გუანჩჟოუს ბიომედიცინისა და ჯანმრთელობის ინსტიტუტიდან.

საინტერესოა, რომ წარსულში მეცნიერებმა ანალოგიური შედეგი უკვე მიიღეს სისხლისა და კანის გამოყენებით, თუმცა, მათი თქმით, შარდი ბევრად უფრო ხელმისაწვდომი წყაროა.

ჩვეულებრივ, მეცნიერები ღეროვან უჯრედებს ლაბორატორიებში 25 დღეში იღებენ, რისთვისაც კანის ბიოფსიასა და სისხლის ანალიზს იყენებენ. შარდისგან ღეროვანი უჯრედების მიღებას კი 12 დღე სჭირდება, ხოლო 4 კვირაში უკვე მუშა ნეირონების მიღებაც ხერხდება.

*pravda.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



რესტორანში ორი გოგო ვახშმობს. მაგიდას მამაკაცი მიუახლოვდა და ერთ-ერთს მიმართა:

– გოგონი, შეიძლება საცეკვაოდ დაგპატიჟოთ?

– და ღამით ხომ არ ხვრინავთ?

*****

ქალი მოახლეების დაქირავების ბიუროში მიდის და მოითხოვს, რომ აპოვნინონ ახალგაზრდა გოგო, ოღონდაც, აუცილებლად ლესბოსელი.

ბიუროს დირექტორი მოთხოვნამ აღაშფოთა:

– რას კადრულობთ, ქალბატონო? ჩვენ აქ სერიოზული ორგანიზაცია გვაქვს!

– არასწორად გამიგეთ, გეთაყვა – ჩემთვის არ ვირჯები, ქმრისთვის მინდა...

*****

– როგორ არის შენი მზეთუნახავი?

– რა ვიცი, ზეთი მაქვს შესაცვლელი... უი, ცოლზე მკითხე?..

*****

მეუღლეები პარკში სეირნობენ.

ქმარი:

– გისმენ, ძვირფასო!

ცოლი:

– იცოდე, თუ კიდევ უპასუხებ ასე ყვავის ყრანტალს, გაგშორდები!!!

*****

ბავშვი ორმოს თხრის. გამვლელი:

– რას თხრი, ბიჭუნი?

– ზაზუნა მომიკვდა და საფლავს ვუმზადებ...

– მერე ამხელას?

– კატაშია და...

*****



კარის კაკუნი. აღებს მამაკაცი, ზღურბლზე ახალგაზრდა ქალი დგას:

– გამარჯობათ. მე თქვენი ახალი მეზობელი ვარ. ძალიან მინდა ვიმხიარულო, დავლიო და მქონდეს ბევრი სექსი! დღეს გცალია?

– რა თქმა უნდა?!

– კარგი, მაშინ ძაღლს დაგიტოვებ და მიმიხედე...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);



## შავი პირანიის ნაკბენი ტირანოზავრისაზე მძლავრია

იცით, რომელი არსებაა დედამიწაზე ყველაზე სასტიკი? ყოველ შემთხვევაში, კბენის თვალსაზრისით, უპირობო ლიდერი ნამდვილად შავი პირანიაა.

მკვლევარებმა გამოითვალეს, რომ მისი ყბების ძალას ვერც ერთი სხვა არსება ვერ აჯობებდა.

დიდი თეთრი ზვიგენი, ნიანგი ან თუნდაც გიენა, საკმაოდ შთამბეჭდავად იკბინებიან, მაგრამ მათი კბენის სიმძლავრე და ზომები რომ შევადაროთ, შავი პირანია თითოეულს სჯაბნის.

მეტიც, ამ 20-სანტიმეტრიან თევზთან ისეთი პრეისტორიული მონსტრიც კი ვერ მივა ახლოს, როგორიც უსაშინლესი ტირანოზავრი გახლდათ...

*pronowosti.ru*

## ცუდი ყნოსვა დაავადების განვითარების მანიშნებელია?



ის, რომ ორგანიზმი ადამიანს ძალიან ბევრ მინიშნებას აძლევს ხოლმე, „რაღაც კარგად ვერ არის და დროზე ვუშველოთ თავსო“, გეცოდინებათ და ჩვენც გიყვებით ხოლმე პერიოდულად.

ამ შემთხვევაში საუბარია იმაზე, რომ თურმე ყნოსვის დაქვეითებაც იმის მანიშნებელია, რომ ორგანიზმს რაღაც უჭირს და რომელიღაც დაავადება გადმოდის შეტევაზე.

გერმანული საარლანდის სამედიცინო სკოლის თანამშრომლებმა დაამტკიცეს, რომ ადამიანები, რომლებსაც ყნოსვასთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებთ, უნიკალური უნარითაც გამოირჩევიან – მათ ტკივილის შეგრძნება არ შეუძლიათ. მაგრამ ზოგ შემთხვევაში ცუდი ყნოსვა შესაძლოა, საშიში დაავადების განვითარებაზეც მეტყველებდეს.

იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანს ყნოსვის შეგრძნებები უქვეითდება, სავსებით შესაძლებელია, ეს ალცჰეიმერის დაავადების გაჩენის წინაპირობა იყოს. პირველ რიგში, რაღა თქმა უნდა, საუბარია ხანშიშესულ ადამიანებზე.

აღნიშნული მიგნებით, გერმანელები იმედს გამოთქვამენ, რომ მედიკოსები ალცჰეიმერის საწყის ეტაპზე დადგენას და მის წინააღმდეგ ეფექტური ნაბიჯების გადადგმას შეძლებენ.

*mndg.ru*

## სტრესი გადამდებია, როგორც გაციება



საქმე ეხება „პასიურ სტრესს“, რომელიც ჰავაის უნივერსიტეტის სპეციალისტების განმარტებით, პირველ რიგში, სახიფათოა მშვენიერი სქესის წარმომადგენლებისთვის.

– შეფი ოფისში განერვიულებული მოდის და ეს ავტომატურად იწვევს თქვენს მღელვარებასაც. სადილის დროს მაგიდასთან დამჯდარი თქვენი მეუღლე საკუთარ პრობლემებზე იწყებს საუბარს და მადა გეკარგებათ... და რა ხდება ამ დროს? რაც არ უნდა ბევრი ეცადოთ, სხვისი სტრესი თქვენც გიტევთ, – ამბობენ მოსაზრების ავტორები.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ ეს ე.წ. პასიური სტრესი სავსებით შესაძლებელია, სულ მალე ქრონიკულში გადაიზარდოს და მშვიდობით მერე ნერვებო და ღიმილო!

სამწუხაროდ, როგორ უნდა შეებრძოლონ ასეთ გადამდებ სტრესს, სპეციალისტები აღარაფერს ამბობენ, მაგრამ ჩვენ კი ვურჩევთ განერვიულებულ ადამიანებს, მაქსიმალურად შეეცადონ, პირადი პრობლემები თავადვე მოაგვარონ, რათა მათდა უნებურად სტრესი საყვარელ ადამიანებსაც არ გადასდონ.

*dal.by*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**29 ოქტომბერი:** შეიძლება დღეს აკვიატებული იდეა გაგიჩნდეთ და მოსვენებას დაკარგავთ, სანამ არ განახორციელებთ, ან სანამ მის უაზრობაში არ დარწმუნდებით. თქვენთან ურთიერთობა ადვილი არ იქნება.

**კურო 22.04-21.05**
**29 ოქტომბერი:** ეს დღე უმჯობესია, პირადი საკითხების მოგვარებას დაუთმოთ. რაც შეიძლება ნაკლები ილაპარაკეთ, ბევრი ვინმე იქნება ჩასაფრებული, ვინც თქვენს ნათქვამს სათავისოდ გამოიყენებს.

**ტყუპები 22.05-21.06**
**29 ოქტომბერი:** შეგიძლიათ, თქვენს ინტუიციას მიენდოთ, რომელიც არაერთ წვრილმან უსიამოვნებას აგარიდებთ თავიდან.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**29 ოქტომბერი:** მთელი დღის მანძილზე შთაგონება შეგაწუხებთ. თუ მოინდომებთ, შეიძლება შედევრიც შექმნათ.

**ლომი 23.07-22.08**
**29 ოქტომბერი:** ეს დღე მცირე გამარჯვებას მოგიტანთ, რომელიც შეიძლება ტრიუმფად იქცეს. თუ ასე არ მოხდა, დაფიქრდით, რამე ხომ არ არის შესაცვლელი.

**ქალწული 23.08-22.09**
**29 ოქტომბერი:** შეიძლება მოვლენათა ჯაჭვიდან ამოვარდნილი აღმოჩნდეთ. ცვლილებები თქვენ არ შეგეხებათ, უბრალოდ, მაყურებელი იქნებით.

**სასწორი 23.09-22.10**
**29 ოქტომბერი:** თუ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გაწუხებთ, დღეს მისი თავიდან მოცილების საშუალება გექნებათ, ოღონდ კარდინალურად არ იმოქმედოთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**29 ოქტომბერი:** პარტნიორი თქვენს ხელშეწყობას ყველანაირად შეეცდება. ასევე, თქვენ გელოდებათ საჩუქარი, ან სასიხარულო ამბავი. ხვალინდელ დღეს ოპტიმიზმით შეხედავთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**29 ოქტომბერი:** დღეს ძალიან გაგიჭირდებათ საკუთარი მოვალეობების შესრულების დაწყება, რაღაცა მუდმივად ხელს შეგიშლით. შეეცადეთ, ძალიან არ მოდუნდეთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**29 ოქტომბერი:** ყველა, ვინც კი დღეს ავანტიურაში თქვენს ჩართვას შეეცდება, კატეგორიული უარით გაისტუმრეთ. დღეს ზედმეტი აქტიურობა და აგრესიულობა სასურველი არ არის.

**მერწყული 20.01-18.02**
**29 ოქტომბერი:** გარეშე თვალისთვის ისე გამოჩნდება, თითქოს სიტუაციას სრულად აკონტროლებთ, მაგრამ ასე არ იქნება. შეიძლება ვინმეს დახმარება დაგჭირდეთ.

**თევზები 19.02-20.03**
**29 ოქტომბერი:** დღეს ყველაზე ნაკლებად მელოდრამატული განწყობები გაწყობთ. რაც არ უნდა მოხდეს, პროვოკაციებს არ აჰყვეთ.

## მეცნიერებმა წვეთების ფორმის ჭკვიანი რობოტები შექმნეს



ძალიან მოკლედ მისი შეფასება ასე შეიძლება: „პატარა და მუშა“...

კოლორადოს უნივერსიტეტის დოცენტმა ნიკოლაუს კორელმა და მისმა კვლევითმა ჯგუფმა 20 რობოტი შექმნა, რომელთაგან თითოეულის ზომა ჩოგბურთის ბურთისას არ აღემატება. რობოტებს „წვეთებს“ უწოდებენ და როგორც კორელი ამბობს, „როცა წვეთები ერთად გროვდება, წარმოიქმნება „სითხე“, რომელსაც აზროვნება შეუძლია“.

როგორც ამბობენ, რობოტებს მართლაც ბევრი რამის კეთება შეუძლიათ. მაგალითად, ალჭურვილობის შეკრება, რომელიც კოსმოსში რაკეტის გაშვებისთვისაა განკუთვნილი. კორელი გეგმავს, „წვეთები“ იმისთვის გამოიყენოს, რომ ყველას დაანახოს რობოტების გონიერება, როგორიცაა: ობიექტების ამოცნობა, სენსორული მოძრაობა და ფორმის ადაპტირებული ცვლილება.

მეცნიერებს კიდევ უფრო შორს მიმავალი გეგმებიც აქვთ და სურთ, რომ „წვეთებმა“ გაცილებით რთული დავალებები შეასრულონ. მაგალითად, ისეთი, როგორიცაა დიდი კოსმოსური ტელესკოპების ან თვითმფრინავების აწყობა.

*lenta.name*

## მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული კოქტეილი



ლონდონის ერთ-ერთ ბარში მომზადებული კოქტეილი დამსახურებულად მიიღებს მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული კოქტეილის წოდებას.

როგორც ირკვევა, კოქტეილის ერთი პორცია 5,5 ათასი ფუნტი სტერლინგი ღირს და გინესის წიგნს სასმელის შემქმნელებმა უკვე გაუგზავნეს რეკორდის დაფიქსირების მოთხოვნა.

კოქტეილის ავტორი ბარ „სალვატორეს“ მფლობელი, კონიაკების ექსპერტი და კოქტეილების მომზადების სპეციალისტი სალვატორე კალაბრეზეა.

ცნობილია, რომ მის კოქტეილში შედის 1788 წლის კონიაკი, 1770 და 1860 წლის ლიქიორები და 1900 წლის ანგოსტურა (ვენესუელური ალკოჰოლური სასმელი).

*lenta.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ცოლმა შვებულება ქმრის გარეშე გაატარა... ვოიაჟი ღალატით დასრულდა... დადგა სახლში დაბრუნების დრო. საყვარელმა ქალს გამოუცხადა: ისეთ რამეს მოვიფიქრებ, ქმარი უკან უპრობლემოდ გამოგიშვებსო... რამდენიმე დღეში ცოლმა დეპეშა მიიღო: „სასწრაფოდ ჩამოდი, დეიდა გარდაიცვალა“. ქმარმა დაიჟინა, მარტო არ გაგიშვებ, დედაჩემს გაგაყოლებო... ცოლმაც საყვარელს დეპეშა დაუბრუნა: „ჩამოვდივარ დედამთილთან ერთად“.

რძალ-დედამთილმა მატარებლით იმგზავრა და დანიშნულების ადგილზე ორი „მერსედესი“ დახვდა: ერთში რძალი ჩაჯდა, მეორეში – დედამთილი... ერთი კვირის შემდეგ ქალები სადგურზე ისევ იმ მანქანებით მიიყვანეს. დასხდნენ კუპეში. საუბარი რძალმა დაიწყო:

– დედა, რა ვქნათ, რა უნდა ვთქვათ სახლში?

– შენი არ ვიცი, მაგრამ მე პირადად ორმოცზეც აქ ვარ და წლისთავზეც!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
»211359457
დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ზანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 06.16